პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 88, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—48
) ღამის მორიგის 18—20.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 8ა, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —20 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 50 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 კ.

დღიური

— საბჭ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ლიტვაში დაინიშნა ამხ. ანტონოვ-ოვსეენკო.
— საბჭოთა კავშირის ვაჭრობა იაპონიასთან ომის წინადროსთან შედარებით სამჯერ გაიზარდა.
— ერთა ლიგის ჩარევას ბოლივია—პარაგვაის კონფლიქტში აფასებენ, როგორც ანტი-ამერიკულ მანევრს.
— ბერლინში ეწყობა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია.
— რუმინეთის პარლამენტის არჩევნებში უმრავლესობა მიიღო ნაციონალურ-გლეხურმა პარტიამ.
— გაფიცვა კოლუმბიაში გრძელდება—ჯარებსა და გაფიცულებს შორის შეტაკებები ხდება.
— რუმინეთის პრესა საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ.

შაბათი, 15 დეკემბერი, 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 290 (2333)

უშედეგო თათბირი

ლუგანოში ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთი მხრით გერმანიის, ხოლო მეორე მხრით ინგლის-საფრანგეთის ბლოკის წარმომადგენელთა შორის. მოლაპარაკების საგანია რეინის ოლქის ევაკუაციის და სარეპარაციო პრობლემის გადასინჯვის საკითხები და ამასთან დაკავშირებით გერმანიის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის საკითხი.

როგორც დეპეშა გადმოგვცემს, სამი მინისტრის (ჩემბერლენი, ბრიანი, შტრეზემანი) თათბირმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. საფრანგეთის მთავრობა ისეთ მოთხოვნებს უყენებს გერმანიას, რომ გაგონდებათ მსოფლიო ომის დამთავრების და ვერსალის ხელშეკრულების დადების პირველი წლები. გერმანიამ უნდა გადაიხადოს იმდენი კონტრიბუცია, რამდენიც საფრანგეთს ესაჭიროება ამერიკის ვალების გასასტუმრებლად და ომის დროს დანგრეულ რაიონების აღსადგენად. კვლავ ასახელებენ სარეპარაციო ჯამის პირდაპირ ასტრონომიულ ციფრს — 132 მილიარდ ოქროს მარკას, ჯამს, რომელიც 1922 წელს სარეპარაციო კომისიამ დააწერა. რაც შეეხება რეინლანდის ევაკუაციას, მის გატარებას გერმანიის მოწინააღმდეგე მხარენი უკავშირებენ გერმანიის მიერ რეპარაციის საკითხში საფრანგეთის პრეტენზიების დაკმაყოფილებას.

გერმანია სულ სხვა პოზიციაზე დგას. ის არ სცნობს ურთიერთ დამოკიდებულებას რეინის ოლქის და რეპარაციების საკითხებ შორის. გერმანია მოითხოვს რეინლანდის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და სარეპარაციო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრას თავის ფინანსიურ რესურსების გათვალისწინების ნიადაგზე, რაც გულისხმობს ამ რაოდენობის ძალზე შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის მესვეურთ ერთგვარი იმედი ჰქონდათ, რომ საფრანგეთის გადაჭარბებულ პრეტენზიების წინააღმდეგ მათ ინგლისის მთავრობა დაუჭერდა მხარს, მაგრამ ამ იმედის სრული უსაფუძვლობა ცხადი გახადა ჩემბერლენის გამოსვლამ თემთა პალატაში, სადაც მან განაცხადა, რომ გერმანიას რეპარაციები არ გადაუხდია და ნაადრევია ლაპარაკი რეინის ოლქის დაცლაზეო. ამით კვლავ დადასტურდა ინგლის - საფრანგეთის ანტანტის განახლების ფაქტი, ანტანტის, რომელიც მიმართულია არა მარტო ამერიკის და საბჭოთა კავშირის, არამედ გერმანიის წინააღმდეგაც.

ინგლისის და საფრანგეთის ასეთი მთლიანი ფრონტი ლახვარს სცემს გერმანიის ორიენტაციას დასავლეთისაკენ. ეს ორიენტაცია კი, როგორც ვიცით კერძოდ იმაში გამოიხატება, რომ გერმანიამ ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულებას და ის ერთა ლიგაში შევიდა. ერთა ლიგის წევრობა თითქოს იმას ნიშნავდა, რომ გერმანია მის სხვა წევრებთან თანასწორი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს კი ინგლისი და საფრანგეთი აგრძელებენ გერმანიის ტერიტორიის ოკუპაციას და ლამობენ მის ეკონომიურ დამონებას. ეს, რა თქმა უნდა, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს, რაზედაც გვქონდა ლაპარაკი.

გერმანიასა და ინგლის - საფრანგეთის ურთიერთობაში საგულისხმოა სხვა მომენტიც, რომელსაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ინგლისი და საფრანგეთი გერმანიას პირდებიან დათმობებს, თუ იგი შესწყვეტს დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან და მათ მიემხრობა ჩვენთან ბრძოლაში. საფრანგეთის მთავრობის ოფიციოზი „ტან", გერმანია - საბჭოთა მოლაპარაკების განახლებასთან დაკავშირებით, ამას წინედ გერმანიას პირდაპირ მოუწოდებდა აქეთკენ. საგარეო პოლიტიკას კარგად გაცნობილი და შტრეზემანთან ახლო მდგომი „კელნიშე ცეიტუნგ" იუწყებოდა, რომ ჩემბერლენს განზრახვა აქვს დააკავშიროს რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი გერმანია - საბჭოთა ურთიერთობის პრობლემასთან, ე. ი. იგი დათანხმდება რეინის ოლქის დაცლაზე იმ შემთხვევაში, თუ გერმანია მზად იქნება ამა თუ იმ სახით შესწყვიტოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. უეჭველია, რომ ასეთი წინადადება ერთ-ერთი მთავარი საგანია იმ მოლაპარაკების, რომელიც ეხლა ლუგანოში წარმოებს.

მაგრამ გერმანია ამ კომბინაციაზე ვერ წავა. ჯერ ერთი, მეტად საეჭვო ხასიათისაა ის დაპირებები, რომლებსაც ინგლისი და საფრანგეთი აძლევენ მას ამგვარი ნაბიჯის გადადგმის სამაგიეროდ. აშკარაა, რომ ეს არსებითად ცარიელი დაპირებაა, ამავე დროს კი გერმანია სახიფათო ავანტიურაში იქნება ჩაბმული, თუ იგი პარიზ-ლონდონის წინადადებაზე დასთანხმდება. ამასთან, ამით იგი სავსებით მოექცევა ინგლის - საფრანგეთის ბლოკის გავლენაში და დაკარგავს იმ ხელსაყრელ პოზიციას საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, რომელიც მას უკავია საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების წყალობით. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ჩვენთან ურთიერთობის გართულებით გერმანია ეკონომიურად ფაღრესად დაზარალდება, ეს განმარტებას არ საჭიროებს. აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტიც: ამერიკა გადაჭრით ილაშქრებს გერმანიის დასავლურ ორიენტაციის და მისი საფრანგეთ - ინგლისის ბლოკში ჩაბმის წინააღმდეგ, რამდენადაც ამ გზით გერმანია ინგლისის მიერ გამოყენებული იქნება ამერიკის პოზიციების შესარყევად.

ამიტომ გასაგებია, როცა ხსენებული „კელნიშე ცეიტუნგ" აცხადებს: „გერმანიას არა აქვს არავითარი საფუძველი გაიზიაროს საკითხის ასე დაყენება. წინადადება, რომ გერმანიამ იყიდოს რეინის ოლქის დაცლა რუსეთთან კავშირის გაწყვეტით, ისევე არ შეიძლება განხილვის საგნად გახდეს, როგორც წინადადება, რომ რეინის ოლქის ევაკუაციისათვის დავსთანხმდეთ ახალი მუდმივი საკონტროლო ორგანოების დაწესებასა და ახალ ფინანსიურ ტვირთვის ზიდვაზე".

ეს ერთადერთი გონიერი თვალსაზრისია, რომლის მტკიცედ დაცვა ძირითადი პირობაა გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ამ ჭეშმარიტებას თითქო სულ უფრო იგებენ გერმანიის ხელმძღვანელი წრეები. ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ის მოლაპარაკება გერმანიასა და საბჭოთა კავშირ შორის, რომელიც ეხლა წარმატებით მიმდინარეობს მოსკოვში.

საბჭოების არჩევნები და კლასობრივი ბრძოლა სოფლად

საბჭოების საარჩევნო კამპანია სოფლად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობს.

კამპანიის პირველმა კვირეებმა უკვე გვიჩვენეს, რომ სოფლის კაპიტალისტური ელემენტები დიდ აქტიობას იჩენენ, სწრაფად ერკვევიან მდგომარეობაში და ეგუებიან შექმნილ პირობებს. კულაკების ნაწილი ყოველგვარი საშუალებით სცდილობს მიიღოს საარჩევნო უფლება და ამისათვის დროებით ამცირებს ვაჭრობას, ბეჯითად შეაქვს გადასახადი და აგროვებს ისეთ განაჩენებს, რომლებშიაც იგი „სანდო" პირად არის გამოცხადებული (ამ განაჩენებზე იძულებით აწერინებს ხელს იმ ღარიბებს და საშუალო გლეხებს, რომლებიც ეკონომიურად მისგან არიან დამოკიდებულნი). დანარჩენი კულაკები სცდილობენ მოისყიდონ ცალკე ღარიბები, რომლებსაც ჰპირდებიან პურის უფასოდ დარიგებას და სასოფლო- სამეურნეო ინვენტარის უფასოდ მიქირავებას; ავრცელებენ სხვადასხვა ხმებს, აქეიფებენ გახრწნის გზაზე მდგომ ღარიბთა ელემენტებს. ისინი აგიტაციას ეწევიან გარემოების მიხედვით: ხან ეწინააღმდეგებიან მოჯამაგირეთა და ღარიბთა არჩევას საბჭოში და ხან ემხრობიან მხოლოდ ღარიბთა არჩევას (ისინი ფიქრობენ, რომ ამ საშუალებით საშუალო გლეხები ჩამოშორდებიან ღარიბებს), მოითხოვენ აშკარად შეუსრულებელი პუნქტების შეტანას ნაკაზებში და ეწევიან აგიტაციას შვიდი საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

ებრძვიან თუ არა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კაპიტალისტური ელემენტებს აქტიობას და უპირისპირებენ თუ არა ამ აქტობას მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა დარაზმულობას? ადგილებიდან მოსული ცნობები ამტკიცებენ, რომ მზადება საბჭოთა არჩევნების კამპანიისათვის ჯერ-ჯერობით ცუდად მიმდინარეობს, რომ მოჯამაგირეთა ღარიბთა პოლიტიკური აქტიობის ზრდა საკმაოდ არ არის გამოყენებული. ზოგიერთი ორგანიზაცია ფორმალურად მიუდგა კამპანიას. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენენ ადგილობრივი საარჩევნო კომისიები, უშუალო ორგანოები, რომლებიც უძღვებიან მთელ პრაქტიკულ მუშაობას საბჭოთა არჩევნებისათვის, არიან სასოფლო საარჩევნო კომისიები. თითქოს უნდა ყოფილიყო მიღებული ზომები იმისათვის, რომ საარჩევნო კამპანიის ეს ერთგვარი ოპერატიული შტაბები შევსილიყო ისეთი ხალხით, რომლებიც არ დაიხევენ კულაკების შეტევის წინაშე და რომლებიც გაატარებენ თავიანთ მუშაობაში მკვეთრ კლასობრივ პროლეტარულ ხაზს. ბევრ რაიონში ასეთი ზომები არ ყოფილა მიღებული. საარჩევნო კომისიების ორგანიზაციები ფორმალურად და ბიუროკრატიულად მიუდგნენ ამ საქმეს. ამის შედეგია, რომ ჩვენ ყოველდღე ვიღებთ ცნობებს იმის შესახებ, რომ სოფლის საარჩევნო კომისიებში საკმაო არაა წარმომადგენლობა მოჯამაგირეთა და ღარიბთაგან რომ საარჩევნო კომისიების მნიშვნელოვან ნაწილში გაძვრენ კულაკები და კულაკების მომხრე ელემენტები.

ჩვენს პარტიაში, განსაკუთრებით სოფლის ორგანიზაციებში, არიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც არ სურთ შეამჩნიონ კლასობრივი ბრძოლა. ისინი სცდილობენ კლასობრივი ბრძოლის გამოაშკარავების კონკრეტული ფაქტები ახსნან „ყოფა-ცხოვრების" მოვლენებით, მათ სურთ „დამშვიდებულად" იცხოვრონ, არ უნდათ „მტრობის ჩამოგდება მეზობლებს შორის", უკვირთ— რატომ ხდება, რომ კულაკს არ აძლევენ „დამშვიდებულად" მუშაობის საშუალებას, რადგან „სახელმწიფოს პური სჭირდება". ეს ამხანაგები მიდიან იქამდე, რომ პირდაპირ უარჰყოფენ კულაკურ საფრთხეს. ესენი არიან იმ მემარჯვენე გადახრის გამომხატველნი, რომელიც დაგმო ჩვენმა პარტიამ.

აშკარად მემარჯვენე ელემენტებთან ერთად არიან ისეთი ელემენტებიც, რომლებიც სიტყვით ემხრობიან გადაჭრილ ბრძოლას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, საქმით, პრაქტიკულ მუშაობაში კი ნამდვილ მემარჯვენე, ნამდვილ ოპორტუნისტულ ხაზს ატარებენ. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ელემენტები წყალს ასხავენ ჩვენი კლასობრივი მტრების წისქვილზე.

კულაკის წინააღმდეგ შეტევის შემდგომი გაძლიერება, ღარიბებზე და საშუალო გლეხობაზე დაყრდნობით, — აი სადღეისო ლოზუნგი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ თავის მუშაობაში ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. შეტევა კულაკების წინააღმდეგ უნდა გაძლიერდეს ყოველი მიმართულებით.

უნდა გაძლიერდეს ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზედაც. კულაკების იდეები და ზრახვები უნდა გამოვააშკარავოთ ღარიბ - საშუალო გლეხობის ფართო მასების წინაშე, უნდა გამოვააშკარავოთ მათი ნამდვილი არსება და მისწრაფება. კიდევ და კიდევ უნდა დაისვას საკითხი ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერების შესახებ. ყოველ გლეხს, ყველაზე უფრო ჩამორჩენილ გლეხსაც კი, უნდა უჩვენოთ განუყრელი კავშირი კულაკსა და მღვდელს შორის, ახლობელი, გასაგები და დამაჯერებელი ფაქტებით უნდა დაუმტკიცოთ მას მღვდლების კონტრ - რევოლიუციონური როლი.

კამპანიის ერთ-ერთ უმთავრეს პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ საბჭოებიდან განიდევნონ მტრული, გაკულაკებული, გაბიუროკრატებული, კლასობრივ ალღო - დაკარგული ელემენტები და მათ მაგივრად საბჭოებში გაიგზავნონ ისეთი პირები, რომელთა მოქმედებაც შემოწმებულია ბრძოლასა და მუშაობაში, რომლებიც გადაუხრელად გაატარებენ კლასობრივ პროლეტარულ ხაზს და რომლებსაც ავტორიტეტი აქვთ ღარიბ - საშუალო მასებს შორის (პირველ რიგში მოჯამაგირეთა და ღარიბთაგან). სწორედ ასეთი კანდიდატები უნდა დაასახელონ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ამ კანდიდატების ირგვლივ უნდა დარაზმონ მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა აზრი და ფართო პროლეტარული დემოკრატიის საფუძველზე უზრუნველყონ მათი ერთსულოვანი მხარის დაჭერა საარჩევნო კრებებზე.

კამპანია ეს არის ეხლა იწყება და უკვე აქვს ადგილი საგრძნობ დეფექტებს. არის შემთხვევები, როცა უჯრედის მიერ დასახელებულ კანდიდატებს ღარიბთა კრებებზე უარჰყოფით ხვდებიან ამ კანდიდატების ცუდი საქციელის, ლოთობის და სხვ. გამო. ეს ამტკიცებს, რომ უჯრედები ასახელებენ შემთხვევით კანდიდატებს და სერიოზულად არ უდგებიან ამ საკითხს. ამგვარი ფაქტები აუცილებლად უნდა გამოვააშკარაოთ და მივიღოთ სასწრაფო ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს უნდა დაეხმაროს ქალაქის სამრეწველო პროლეტარიატი. ის უნდა დაეხმაროს თავის დასაყრდენ —მოჯამაგირეებს და ღარიბებს, უნდა დაეხმაროს თავის მოკავშირეებს—საშუალო გლეხებს, მათ ბრძოლაში კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ. ეს დახმარება უნდა იყოს ენერგიული და აქტიური, სოფლისათვის დახმარების ყველაზე უფრო ხელსაყრელ ფორმად უნდა ჩაითვალოს მუშათა ბრიგადების გაგზავნა საშეფო ხაზით არჩევნების მთელი ხნის განმავლობაში. ბრიგადების შემადგენლობაში უნდა შევიყვანოთ მტკიცე, კლასობრივად-ნაცადი მუშები. მათი მუშაობა სოფლად უნდა სწარმოებდეს იმგვარად, რომ მათ ადგილობრივი ორგანიზაციების ადგილი არ დაიჭირონ, არამედ დაეხმარონ მათ, იმპულსი მისცენ და გამოასწორონ მათი მუშაობა.

კულაკის წინააღმდეგ შეტევის შემდგომი გაძლიერება, მოჯამაგირეთა და ღარიბთა მაქსიმალური შემჭიდროება, მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან, საანგარიშო კამპანიის ჩატარება თვითკრიტიკის ნიშნით და მრავალი მილიონი მასების ჩაბმით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტის საქმეში, კანდიდატების წამოყენება საბჭოთა პროლეტარული დემოკრატიის პრინციპის მიხედვით, სამრეწველო ცენტრების მუშათა დახმარება სოფლისადმი და, ბოლოს, რაც უმთავრესია მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა კამპანიის ყველა ეტაპზე,—ასეთია საბჭოების არჩევნების კამპანიის კონკრეტული ამოცანები სოფლად.

„პრავდა", 14 დეკემბერი.

შტრეზემანის მოლაპარაკება ბრიანთან და ჩემბერლენთან უშედეგოთ დასრულდა

მიულერი მოითხოვს რეინისა და საარის ოლქების სასწრაფოდ დაცლას

ერთა ლიგა იხილავს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევის საკითხს

გერმანიის მოლაპარაკება ინგლის-საფრანგეთთან

ლუგანო, 13 დეკემბერი. უკვე მეხუთე დღეა, რაც გრძელდება მოლაპარაკება საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის. ბრიანს ოთხჯერ ჰქონდა თათბირი შტრეზემანთან. მოლაპარაკების შინაარს საიდუმლოდ ინახავენ. ინგლისის წრეები ცდილობენ საფრანგეთთან მთავარ საკითხებში მიღწეული შეთანხმება დაფარონ ფორმულით, რომ ინგლისი წინდაწინვე თანახმაა ყოველგვარ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც გამოიტანს საფრანგეთი და გერმანია. (ადს).

ვერ შეთანხმდნენ.

ლუგანო, 13 დეკემბერი. სამი მინისტრის-ჩემბერლენის, ბრიანის და შტრეზემანის —**პირველმა შეხვედრამ კონკრეტიულად ვერ გადასჭრა საკითხი** ერთა ლიგის საბჭოს მიერ 16 სექტემბერს გამოტანილ რეზოლიუციის გარკვეული შინაარსის მიცემის შესახებ. ჩემბერლენის განცხადების თანახმად, შეხვედრის მიზანს სწორედ ამ საკითხის მოწესრიგება შეადგენდა. შტრეზემანმა გერმანელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **ჯერ გამომუშავებული არ არის პრაქტიკული გადაწყვეტილება,** მაგრამ მას საფუძველი აქვს უფრო იმედიანად მოეპყრას ამ მოლაპარაკებას. ოფიციალური კომუნიკე მინისტრების საუბრის შესახებ გამოქვეყნებული არ არის. **გამოურკვეველია, მოხდება თუ არა სამი მინისტრის მეორედ შეხვედრა,** მაგრამ გრძელდება ცდები ისეთი ახალი ფორმულის გამოსაძებნად, რომელიც გარეგნულად მაჩვენებელი იქნება იმისა, თითქოს ლუგანოში გამართულ მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა უკანასკნელ კვირეებში გამწვავებული მდგომარეობის რამოდენიმეთ შენელება. (ადს).

„რეინისა და საარის ოლქი დაცლილი უნდა იქნეს"

მიულერის განცხადება

ბერლინი, 13 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„ბერლინის პრესის კავშირმა სრულიად გერმანიის და პრუსიის მთავრობების პატივსაცემად ბერლინში გამართა დარბაზობა. დარბაზობაზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა რეიხსკანცლერმა მიულერმა.

„ჩემი გულის ყური,—სთქვა მან,— ამ წუთში ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრთანაა, რომელიც ამჟამად ლუგანოში იბრძვის იმისათვის, რომ გერმანია განთავისუფლდეს უცხოეთის ოკუპაციისაგან. მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ გერმანიის ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს უცხოეთის ჯარის მიერ დაჭერილი ოლქების დაცლას. ამ მოთხოვნას პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მისი გამოსავალი წერტილი იყო და არის უფლებრივი თვალსაზრისი. თანასწორუფლებიანობის იდეასთან შეუთავსებელია ოკუპაციის გაგრძელება, ხოლო თანასწორუფლებიანობის იდეა წარმოადგენს წინასწარ პირობას გერმანიის მონაწილეობისათვის ერთა ლიგაში. სარეპარაციო პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც გამოკვლეულ იქნება გერმანიის გადამხდელუნარიანობა. ამ თვალსაზრისს ერთსულოვნად იცავს მთელი გერმანიის პრესა. დასავლეთში საზღვრები უზრუნველყოფილია ლოკარნოს ხელშეკრულებებით. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ რეინის და საარის ოლქები უნდა განთავისუფლდნენ. საარის ოლქის მოსახლეობა გერმანელებისაგან შესდგება. როგორც საარის ოლქში დაბადებული მე ამის ცოცხალი მოწმე ვარ. გერმანელებს ნამდვილად უნდა ჰქონდეთ საშუალება ისარგებლონ თვითგამორკვევის უფლებით". (ადს).

იაპონია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა ფართოვდება

ვლადივოსტოკი, 14 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილემ იაპონიაში ამხ. ტრეტიაკოვმა, რომელიც ამჟამად ვლადივოსტოკშია, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გადასცა:

„ჩვენი სავაჭრო ბრუნვა იაპონიასთან წლითი-წლობით იზრდება. წარსული წლის ბრუნვამ 80 მილიონ იენს მიაღწია, მაშინ, როცა ომამდე ბრუნვა მხოლოდ 10 მილიონ იენს უდრიდა. (ადს).

რუმინეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ვენა, 13 დეკემბერი. რუმინეთის პრესა უკანასკნელ დღეებში გაცხოველებით მსჯელობს რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოგვარების შესახებ. ახალ მთავრობასთან კეთილად განწყობილი პრესა ავრცელებს ხმას იმის შესახებ თითქოს ამ ახლო ხანში მოსალოდნელია მოლაპარაკება რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

„დიმინიაცა" იუწყება, რომ ბუქარესტის დიპლომატიურ წრეებში გავრცელებულია ხმები, რომლის თანახმადაც ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას თითქოს განზრახული აქვს მოსინჯოს ნიადაგი საბჭოთა კავშირთან დასაახლოვებლად და ამავე დროს ითაოს ახალ საფუძველზე მოგვარება საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა მცირე ანტანტასა და პოლონეთთან.

„ამასთან ერთად,—ამბობს გაზეთი,—რუმინეთმა უნდა მოახერხოს ბესარაბიის ირგვლივ ამტყდარი დავის წინასწარი მოწესრიგება.

ლიბერალების გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა სასურველია მხოლოდ მას შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი სცნობს ბესარაბიას რუმინეთის კუთვნილებად. (ადს).

ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულება

ლონდონი, 14 დეკემბერი. მიუხედავად უარყოფისა, „დეილი ექსპრეს"-ის პოლიტიკური მიმომხილველი კვლავ ამტკიცებს, რომ ინგლისის კაბინეტის წევრები იხილავენ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხს და რომ ინგლისის მთავრობა „კეთილსასურველად მოეპყრობა ყოველ წინასწარ ნაბიჯს, რომელიც საბჭოთა მთავრობას სურს გადასდგას". (ადს).

არჩევნების შედეგები რუმინეთში

ვენა 13 დეკემბერი. რუმინეთის პალატის არჩევნების შედეგების შესახებ ჯერ-ჯერობით არის მხოლოდ საერთო ხასიათის ოფიციალური ცნობები. ამ ცნობების თანახმად, გლეხთა ნაციონალურმა პარტიამ (მთავრობის პარტია) მთელს სახელმწიფოში მიიღო ხმების საერთო რიცხვის 70—80 პროცენტი, ხოლო ლიბერალებმა — 8 პროცენტი. მუშურ-გლეხურმა ბლოკმა მთელს რუმინეთში მიიღო 35.000 ხმა (მიცემული ხმების საერთო რიცხვის ორი პროცენტი). ეს ცნობები არ არის საბოლოო. (ადს).

ლოიდ-ჯორჯი კუშენდენის შესახებ

ლონდონი, 13 დეკემბერი. ამერიკელ ჟურნალისტთა კრებაზე (ლონდონში) გამოსულმა ლოიდ-ჯორჯმა გაილაშქრა კუშენდენის წინააღმდეგ, რომელმაც, გააკრიტიკა რა ლოიდ-ჯორჯის მიერ მანჩესტერში წარმოთქმული სიტყვა მშვიდობიანობის შესახებ, ლიბერალების ლიდერი გამოიყვანა ისეთ კაცად რომელიც მშვიდობიანობას აბრკოლებს. ლოიდ-ჯორჯმა კუშენდენის მეთოდები უხეში ძალმომრეობის მეთოდებად დასახა. კუშენდენის დასახასიათებლად ლოიდ-ჯორჯმა გაიხსენა, რომ ერთხელ კუშენდენმა ჩერჩილს ოფიციალური დოკუმენტების ტომი ესროლა და თვალი დაუზიანა.

„ისტორიაში,—განაცხადა ლოიდ-ჯორჯმა ეს სცენა დარჩება ერთად-ერთ მოვლენად რომელიც დაკავშირებულია კუშენდენის სახელთან. ასეთია უთანხმოების გამოხატვის კუშენდენის მანერა"-ო.

თავისი სიტყვის შემდეგ ნაწილში ლოიდ ჯორჯმა ამხილა ინგლის-საფრანგეთის კომპრომისი და მოითხოვა ინგლისისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობა. (ადს).

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი, 13 დეკემბერი. გერმანიაში აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა რიცხვი ნოემბრის მეორე ნახევრის განმავლობაში გაიზარდა 650 ათას კაციდან 1.080.000 კაცამდე ე. ი. 70 პროცენტით. წარსული წლის ნოემბერთან შედარებით. მოსალოდნელია უმუშევრობის შემდგომი ზრდა, ვინაიდან ახლო მომავალში მეტალურგიიდან და საამშენებლო მრეწველობიდან დაითხოვენ დიდძალ მუშებს. ბერლინში მოწვეულ იქმა უმუშევართა კონფერენცია, რომელმაც (ცხადჰყო უმუშევართა საშინელი სიღატაკი და გაჭირვება კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები: პიკის —პოლიტიკური მდგომარეობის, ომის მზადების და კაპიტალის შემოტევის შესახებ, სტეფენსის—უმუშევართა დაზღვევის კანონის დეფექტების შესახებ და შულცის—პროფკავშირების უყურადღებობის შესახებ უმუშევართა დარაზმვის საქმისადმი. კონფერენციამ დაადგინა, თვითონ იკისროს უმუშევართა დარაზმვის საქმე და შეეცადოს, რომ უმუშევართა კომიტეტები იცნოს მთავრობამ. კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე, ბერლინის უბნებში მოაწყოს უმუშევართა დემონსტრაცია ლოზუნგით „სამუშაო და პური". (ადს).

გაფიცვა კოლუმბიაში

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. როგორც „ასოშიეტედ პრეს"-ს ბოგოტიდან (კოლუმბიის სატახტო ქალაქია) ატყობინებენ. კოლუმბიის მთავრობა აცხადებს, ვითომ ბანანის პლანტაციების მუშათა გაფიცვა ჩაქრობილი იქნა. სხვა ცნობებით კი გაფიცვა გრძელდება. ხშირია სასტიკი შეტაკება გაფიცულებსა და ჯარს შორის. ორივე მხრიდან ბევრია მოკლული და დაჭრილი.

სხვადასხვა

- ● ავსტრიის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულია ქრისტიანულ-სოციალური პარტიის წევრი ალფრედ გიურტლერი.
- ● შვეციაში დაარსდა მუშათა სასპორტო კავშირი, რომელიც შეუერთდა წითელ სასპორტო ინტერნაციონალს.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვის გამოძახილი

როდის იქნება მოწვეული განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია

ლუგანო, 13 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭოს ჯერ არ გამოუქვეყნებია ლიტვინოვის მიერ ლოუდონისათვის გაგზავნილი წერილი სახელმწიფოების წარმომადგენლები განაგრძობენ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადის საკითხის განხილვას. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ მოსალოდნელია შეთანხმება პირველი, მომავალ (თებერვლის) სესიის დღის წესრიგში იმ საკითხთა კომპლექსის გამოყოფის შესახებ, რომლებსაც ეხება ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმება, და, მეორე, ხსენებულ სესიაზე საბჭოთა პროექტის განხილვის წესის შესახებ. 13 დეკემბერს ერთა ლიგის საბჭოს სესიის სხდომაზე მიღებულ იქნა ცნობად ბერნსტორფის წერილი. ეს წერილი შეეხება იმ კომისიის დეკემბრის სესიის უშედეგოთ დამთავრებას, რომელსაც დავალებული აქვს იარაღის წარმოებაზე კონტროლის დაწესების საკითხის შემუშავება. (ადს.)

ამერიკის თანხმობას უცდიან

ლუგანო, 13 დეკემბერი. ერთა ლიგის სამდივნო, რომელმაც გამოაქვეყნა ლიტვინოვის წერილი ლოუდონისადმი, იუწყება რომ, ლიტვინოვის სურვილების თანახმად, წერილის შინაარსი ეცნობება განიარაღების მოსამზადებელ კომისიის წევრებს.

ინგლისელი ჟურნალისტის საპასუხოდ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საბოლოო შეთანხმება მოსამზადებელი კომისიის მე-6 სესიის მოწვევის ვადის და სესიის პროგრამის შესახებ ჯერ მიღწეული არ არისო. ერთა ლიგის წრეებში აღნიშნავენ, საბოლოო გადაწყვეტილებისათვის საჭიროა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დასთანხმდნენ მოსამზადებელი კომისიის თებერვლის სესიაში მონაწილეობაზე.

გავრცელებული ხმების თანახმად, ამერიკის წარმომადგენელმა ბერნში გამოითხოვა ინსტრუქციები ამ საკითხის შესახებ. (ადს).

პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

ინგლისის პრესა

ლონდონი, 13 დეკემბერი. „მორნინგ პოსტ"-ი მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს ლიტვინოვის მოხსენებას და სწერს:

„ლიტვინოვი სცდილობს დასაღუპად გაიტყუოს კაპიტალისტური სახელმწიფოები".

„დეილი ექსპრეს"-ის იმ ცნობის შესახებ, რომ ზოგიერთი კონსერვატიული წრეები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას, გაზეთი აცხადებს, რომ მთავრობას არა აქვს ასეთი განზრახვაო.

„დეილი ჰერალდ"-ის მოწინავეში ნათქვამია, რომ ლიტვინოვის სიტყვა წარმოთქმულია ინგლისთან ურთიერთობის აღდგენის მიზნით და „თუ ამ მიმართულებით არ იქნება გადადგმული სათანადო ნაბიჯი, პასუხისმგებლობა დაეკისრება ინგლისის მთავრობასო".

გაზეთი აღნიშნავს, რომ ურთიერთობის ჩაშლამ დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის ვაჭრობას და აცხადებს:

„თანდათან უფრო ძნელი ხდება დაკარგული პოზიციების დაბრუნება. ლიტვინოვის სიტყვა დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალებას იძლევა".

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 13 დეკემბერი. „ტან"-ი დაწვრილებით აქვეყნებს ლიტვინოვის მოხსენებას. მოწინავეში სათაურით: „საბჭოების საგარეო პოლიტიკა" გაზეთი ეხება ლიტვინოვის მოხსენებას და ლიტვინოვის წერილს ლოუდონისადმი, გაზეთი სწერს:

„მშვიდობიანობისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, [illegible] სახელმწიფოებს შორის განხეთქილების ჩამოგდება ყველა სფეროში და რევოლიუციების მომზადება. საფრანგეთს არ შეუძლია არ აინტერესებდეს მასთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფ სახელმწიფოთა ბედ-იღბალი, იმ სახელმწიფოთა ბედ-იღბალი, რომელთათვისაც საბჭოთა კავშირი უშუალო საფრთხეს წარმოადგენს. წმინდა წყლის დემაგოგიად უნდა ჩაითვალოს ლიტვინოვის დაპირება, რომ საბჭოთა მთავრობა დაშლის წითელ არმიას, თუ მოსამზადებელი კომისია მიიღებს საბჭოთა გეგმას განიარაღების შესახებ".

ლიტვინოვის მოხსენება საკმაოდ დაწვრილებით მოათავსა გაზეთების უმრავლესობამ. ლიტვინოვის წერილი ლოუდონისადმი შემოკლებით დაბეჭდილია მემარცხენე ბურჟუაზიულ „ვოლონტე"-ში და სოციალისტურ „სოირ"-ში, ხოლო მთლად—„ლიუმანიტე"-ში.

ამავე დროს „ლიუმანიტე"-ში დაბეჭდილია კაშენის წერილი. კაშენი ეყრდნობა რა ლიტვინოვის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა დაშალოს წითელი არმია, თუ მიღებული იქნება საბჭოთა წინადადება განიარაღების შესახებ, სწერს:

„იმპერიალისტური სახელმწიფოები არ მოისურვებენ საბჭოთა კავშირის წინადადებების მოსმენას, მაგრამ ეს წინადადებები უდიდეს გამოძახილს ჰპოვებენ მთელი ქვეყნის მუშათა კლასში. ეს მეტად არასასიამოვნოა ოქტომბრის რევოლიუციის მტრებისთვის. ვინაიდან ის პაციფიზმის თვალთმაქცურ ნიღაბს ხდის იმპერიალისტებს და მათ დამქაშებს—სოციალ-დემოკრატებს".

პარიზი, 13 დეკემბერი. „მატენ"-ი ეხება გერმანიის მოთხოვნას განიარაღების კომისიის მოწვევის შესახებ და სწერს, რომ გერმანიას გვერდს უმშვენებს საბჭოთა კავშირი, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ბრალსა სდებს—არ სურთ განიარაღებაო.

„ლიტვინოვის უკანასკნელი ნოტა,—აცხადებს გაზეთი,—ასეთი პროპაგანდის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. თუ საზღვაო სახელმწიფოები ვერ შეანხმდებიან და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები 4 მარტამდე არ ჩამოაყალიბებენ თავის თვალსაზრისს, განიარაღების მოსამზადებელი კომისია გადაიდება. ამით შეიძლება ისარგებლოს გერმანიამ. მაშასადამე, განიარაღების პრობლემის შემდგომი განხილვისათვის აუცილებელია მეგობრული მოლაპარაკება გერმანიასთან".

გერმანიის პრესა

ბერლინი, 13 დეკემბერი „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ი ლიტვინოვის ამ წერილის შესახებ, რომელიც მან ლოუდონს გაუგზავნა, სწერს:

„თუ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიას არ სურს აღიაროს თავისი უძლურება, მან ეხლავე უნდა მიიღოს სერიოზული ზომები განიარაღების საკითხის განხილვის დასაჩქარებლად".

ბერლინი, 13 დეკემბერი. სახალხო პარტიის გავლენიანი პროვინციალური ორგანო „კელნიშე ცეიტუნგ"-ი კომენტარიებს უკეთებს ლიტვინოვის მიერ ლოუდონისათვის გაგზავნილ წერილს და სწერს:

„ლიტვინოვის წინადადება ერთა ლიგას საშუალებას აძლევს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ გამოიყვანოს იმ ჩიხიდან, რომელშიაც ის მოექცა. მაგრამ საბჭოთა წინადადების მიღების წინასწარ პირობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გარემოცვის პოლიტიკაზე უარის თქმა. ვინაიდან ინგლისი ამაზე არ დასთანხმდება, საეჭვოა, რომ ლიტვინოვის წინადადებას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს.

პოლონეთის პრესა

ვარშავა, 13 დეკემბერი. ლიტვინოვის სიტყვას ჯერ-ჯერობით გამოეხმაურა პოლონეთის ორი გაზეთი: კონსერვატიული ორგანო „ჩას"-ი და სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა".

„ლიტვინოვი გვარწმუნებს,—სწერს „ჩას"-ი, —რომ რუსეთს არა აქვს აგრესიული მიზნები პოლონეთის მიმართ, ჩვენ ჩვენის მხრით ყველას საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ პოლონეთს მტკიცედ სურს მშვიდობიანი ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან".

„ჩას"-ი გადაჭრით უარჰყოფს პოლონეთის მონაწილეობას ინგლისის ანტისაბჭოთა გეგმებში. საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი გულწრფელი კმაყოფილებით შეხვდაო.

სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა" სწერს:

„ლიტვინოვი ცივად და თავდაჭერილად ლაპარაკობს პოლონეთზე და მასთან ურთიერთობაზე. მის სიტყვაში არ მოიპოვება უხეში გამოთქმები, რაც საერთოდ ახასიათებს კომუნისტურ ლექსიკონს. ლიტვინოვი აღნიშნავს პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ თავაზიან ურთიერთობას, მაგრამ ამავე დროს მრავალ სერიოზულ ბრალდებას უყენებს პოლონეთის საგარეო პოლიტიკას".

გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირი ანგარიშს უწევს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას არა მარტო აღმოსავლეთ ევროპისათვის, არამედ საყოველთაო მშვიდობიანობისათვისაც".

გაზეთს საეჭვოდ მიაჩნია საბჭოთა განცხადებები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს არა აქვს აგრესიული განზრახვები პოლონეთის მიმართ. გაზეთს მოჰყავს პოლონეთის კომპარტიის მოქმედება, როგორც საბჭოთა „აგრესივობის"-ს დაუმტკიცებელი საბუთები.

პოლონეთის დანარჩენი გაზეთები ჯერ-ჯერობით ლიტვინოვის სიტყვის მოკლე შინაარსის მოთავსებით დაკმაყოფილდნენ. (ადს).

სპარსეთის პრესა

თეირანი, 13 დეკემბერი. გაზეთები მთლიანად აქვეყნებენ ლიტვინოვის მოხსენებას.

„ტუფან"-ი თანაგრძნობით კომენტარიებს უკეთებს ლიტვინოვის სიტყვას და სწერს:

„ერთ მხარეზე არიან გამარჯვებული სახელმწიფოები, რომლებიც განუწყვეტლივ ადიდებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს, რათა დაიმორჩილონ მთელი მსოფლიო, მეორე მხარეზე არის საბჭოთა კავშირი, რომლის მთელი ძალღონე მიმართულია მშრომელთა კეთილდღეობისაკენ და რომელიც ხედავს ომის საფრთხეს და იღებს ზომებს საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.

ვილჰელმ მიკლასი
ავსტრიის ახალი პრეზიდენტი

ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტი

ინგლისის ანტი - ამერიკული მანევრი

პარიზი, 13 დეკემბერი. პრესა იუწყება, რომ ბრიანმა, როგორც ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარემ, ბოლივიისა და პარაგვაის მთავრობებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც მოყვანილია ლიგის საბჭოს რეზოლიუცია პარაგვაის და ბოლივიას შორის არსებული კონფლიქტის შესახებ. ამ რეზოლიუციაში ერთა ლიგის საბჭო გამოსთქვამს იმედს, რომ „კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის არ გამწვავდება" და რომ ორივე მთავრობა „გამოიყენებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცედურას, რაც შეეფერება მათ საერთაშორისო ვალდებულებებს".

მემარჯვენე ბურჟუაზიული „ეკო დე პარი" ერთა ლიგის გამოსვლაში ხედავს ცდას—განამტკიცოს სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების მონაწილეობა ერთა ლიგაში. ეს არის პრაქტიკული გამოხატულება იმ თვალსაზრისისა, რომელიც ლიგას აქვს გამომუშავებული ერთა ლიგის წესდებასა და მონროეს დოქტრინის (ევროპის სახელმწიფოების ჩაურევლობა ლათინურ ამერიკის საქმეებში) ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

გაზეთი გამოსთქვამს შიშს, რომ შეერთებული შტატები უკმაყოფილონი იქნებიან ლიგის გამოსვლით.

„ლიუმანიტე" ერთა ლიგის გამოსვლას აფასებს, როგორც ლიგის ავტორიტეტის ამაღლების ცდას და როგორც ინგლისის მიერ ნაკარნახევ ანტი - ამერიკულ მანევრს (ადს).

ნავთის სუნი

ვაშინგტონი, 13 დეკემბერი. შეერთებული შტატების დიპლომატიურმა ზეგავლენამ ბოლივიის წარმომადგენელი აიძულა დაბრუნებულიყო პანამერიკულ კონფერენციაზე, რომელიც მან დასტოვა პროტესტის ნიშნად პარაგვაისა და ბოლივიას შორის არსებული კონფლიქტის საარბიტრაჟო წესით მოგვარების ცდის წინააღმდეგ. კონფლიქტი ბოლივიასა და პარაგვაის შორის გამოიწვია დავამ იმის გარშემო, თუ ვის ეკუთვნის ვეებერთელა უდაბნო ბორეალი, რომელიც მდებარეობს პარაგვაისა და ბოლივიის საზღვარზე. ეს ოლქი უკვე ასი წელიწადია სადაოდ არის მიჩნეული. ამ ბოლო დროს, ოლქი ნავთის მნიშვნელოვანი მადნის აღმოჩენის გამო, დაიჭირა ბოლივიის ჯარმა. ბოლივიის აგრესივობა აიხსნება იმით, რომ მის ზურგს უკან სდგას შეერთებული შტატების რესპუბლიკა ნავთის კომპანიის „სტანდარტ ოილი"-ს სახით, რომელსაც დიდი კონცესიები აქვს ბოლივიაში. პირიქით, პარაგვაიში ძლიერია ინგლისის კაპიტალის გავლენა.

პანამერიკული კონფერენცია ვაშინგტონში შეერთებული შტატების დიქტატურის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს (ადს).

საკავშირო ცაკის მე-4 სესია

ღონისძიებები მოსავლიანობის გასადიდებლად

ამხ. კუბიაკის თანამოხსენება

მოსკოვი, 14 დეკემბერი. 13 დეკემბერს საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დილის გაერთიანებულ სხდომაზე სესიამ მოისმინა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. კუბიაკის თანამოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მოსავლიანობის გადიდებას.

ამხ. კუბიაკის აზრით, დეკრეტით გათვალისწინებული ტემპი მოსავლიანობისა (ეს ტემპი მახლობელი ხუთი წლისათვის ნავარაუდევია 30-დან 35 პროცენტამდე) სავსებით უზრუნველყოფილია საბჭოთა სასოფლო მეურნეობის საერთო პირობებით.

ტეხნიკურად საეჭვო არ არის, რომ ხუთი წლის დამლევისათვის ამ ტემპს (30—35 პროც.) არა თუ მივაღწევთ, გადავაჭარბებთ კიდეც.

„მოსავლიანობის საქმეში,—განაცხადა ამხ. კუბიაკმა,—ჩვენ ჩამოვრჩით ევროპასა და ამერიკას. ამისი მიზეზი არის ჩვენი სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ჩამორჩენილობა და გლეხური მეურნეობის უძლურება. აი ძირითადი, რაც უნდა გადავლახოთ.

აქამდე ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით სათესი სივრცის გაფართოვებას, ხოლო მოსავლიანობის გადიდებაზე ნაკლებ ვზრუნავდით. მინერალური სასუქის შესახებ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ სერიოზულ ლაპარაკს. ეგევე უნდა ითქვას მანქანების მიწოდებაზე. და ეს მაშინ, როდესაც სწორედ ამ საკითხებზეა დამოკიდებული დასახული ამოცანის გადაჭრა".

ამხ. კუბიაკმა აღნიშნა ის წარმატება მოსავლიანობის გადიდების დარგში, რომელსაც მიაღწიეს კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა და შეჩერდა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც, ეჭვს გარეშეა, გადაეღობებიან ახალ კანონს.

„ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას,—სთქვა ამხ. კუბიაკმა,—წარმოადგენს მეურნეობების დაქსაქსულობა, რომელიც გავლენას ახდენს არა მარტო ხორბლეულის საქონლიანობაზე, არამედ მოსავლიანობაზედაც. გლეხთა მეურნეობების რიცხვმა 1916 წლიდან თითქმის 3 მილიონით იმატა. დაყოფა-დანაწილების პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. დიდ როლს თამაშობს ისიც, რომ მოსარგებლეთა მიწები ერთმანეთშია არეული, აგრეთვე მიწების სიშორე და, ფასების პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში. ეს დეფექტები არიან მთავარი შემაფერხებელი მოსავლიანობის გადიდების განხორციელების საქმეში და ამას უნდა შევებრძოლოთ მთელი ძალ-ღონით".

ამხ. კუბიაკის აზრით, კანონის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ მასში არ არის აღნიშნული მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად სათესი სივრცის შემდგომი გაფართოვების საჭიროება.

„ერთ-ერთი მთავარი საკითხი,—სთქვა შემდეგ ამხ. კუბიაკმა,—არის ის, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ის სახსრები, რომლებიც სახელმწიფომ გადასდო წელს სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორისათვის. რასაკვირველია, ეს სახსრები უფრო მეტის ეფექტით უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე ამას დღემდე ვჩადიოდით. ასეთი მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ—საჭიროა თუ არა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის მშენებლობა, მათი შენოთ ხსენებული მეურნეობები, რომ მათ გრამ გადასაჭრელია ის, თუ როგორ უნდა ვაშენოთ ხსენებული მეურნეობები, რომ მათ დადებითი სამეურნეო შედეგი მოგვცენ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კონტრაქტაციას, რომელიც წარმოადგენს გლეხის მეურნეობაზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთ მეთოდს. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი ტრაქტორების, ტრიერების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ.

უნდა გავწმინდოთ სადგილ-მამულო ორგანოები, რომლების 40 პროცენტსაც თეთრგვარდიელები და ყოფილი მემამულენი შეადგენენ და რომელნიც სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა ღონისძიებების გატარების საქმეს ხელმძღვანელობენ. მაგრამ თვით სადგილ-მამულო ორგანოების ძალ-ღონით ამას ვერ მივაღწევთ. უნდა შეიცვალოს ხელმძღვანელობის ის მეთოდი, რომელსაც პარტია და საბჭოთა ორგანოები სადგილ-მამულო ორგანოებს უწევენ. ამ მხრივ დღემდე ცოტაა გაკეთებული"

შემდეგ ამხ. კუბიაკი შეეხო სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქის მიწოდების საკითხს. მთავრობის ძირითადი დირექტივა მინერალური სასუქის მიწოდების შესახებ, როგორც ეტყობა, მთლიანად ვერ განხორციელდება. ეს აღინიშნა ქიმიზაციის კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე, რომელმაც დაადგინა— მისცეს მრეწველობას დირექტივა მუშაობის გაძლიერების შესახებ ამ მიმართულებით.

ვერ არის მოწესრიგებული ტრაქტორების საქმეც. გათვალისწინებული სამი ათასი ტრაქტორის ნაცვლად, წელს გამოშვებული იქნება 2.400 ტრაქტორი.

რაკი სოფლის მეურნეობას განსაზღვრულ მოთხოვნებს ვუყენებთ, საჭიროა მრეწველობამ განახორციელოს ის ამოცანები, რომლებიც დაესახა მას სოფლის მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში

შემდეგ ამხ. კუბიაკი შეეხო ტრაქტორების რაციონალურად გამოყენების საკითხს. ამისათვის უნდა მოეწყოს სატრაქტორო სადგურები. ამხ. კუბიაკმა გამოსთქვა იმედი, რომ მოსავლიანობის გადიდების დარგში სახელმწიფოს წინაშე დასახული ამოცანა განხორციელებული იქნება. ამხ. კუბიაკის აზრით, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მომზადებას მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე დასახა ამ დარგში განსაზღვრული ღონისძიებანი, მაგრამ საბჭოთა საზოგადოებრივობა ამ ამოცანას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამას აგრეთვე ჩვენი პრესა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაც ძალზე ჩამორჩენილია, მარტო მიწათმოქმედების ორგანოები კი ამ ამოცანას ვერ გასწვდებიან. რადაც უნდა დაგვიჯდეს, შესრულებულ უნდა იქნეს მთავრობის დირექტივა სათესი სივრცის 7 პროცენტით და მოსავლიანობის 3 პროცენტით გადიდების შესახებ.

—:—

მიღებულ იქნა წინადადება იმის შესახებ, რომ კამათი ამხ. იაკოვლევისა და კუბიაკის მოხსენებათა გამო გაიმართოს ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

განაჩენი მარტის საქმეზე

პარიზი, 14 დეკემბერი. გამოცხადებულია განაჩენი საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრის ანდრე მარტის საქმეზე, რომელსაც ბრალს სდებდნენ იმაში, რომ თითქოს იგი „მოუწოდებდა მკვლელობისაკენ". მარტის მიუსაჯეს 4 წლით დაპატიმრება და ჯარიმა 3.000 ფრანკის რაოდენობით. ამ განაჩენშია მოქცეული წინანდელი განაჩენები იმ საქმეებზე, რომელთა გამოც იგი უკანასკნელ დროს იყო მიცემული პასუხისგებაში. ბრალდება „მკვლელობისაკენ მოწოდებაში", როგორც ცნობილია, ემყარებოდა მარტის წერილს „ლიუმანიტე"-ში. აღნიშნულ წერილში მარტმა პასუხი გასცა მარშალ ფოშის იმ ინტერვიუს ინგლისურ ორგანოს „რეფერი"-სთან, რომელიც შეიცავდა მოწოდებას საბჭოთა კავშირში ინტერვენციის მოხდენისაკენ. საფრანგეთის მთავრობამ თავის დროზე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ინტერვიუ არ შეეფერება სინამდვილესო. მაგრამ პროცესზე მოწმად გამოწვეულმა „რეფერი"-ს რედაქტორმა ფაქტიური საბუთები წამოაყენა ინტერვიუს სინამდვილის დასამტკიცებლად.

ამუნდსენის ხსოვნის დღე

ოსლო, 14 დეკემბერი. 14 დეკემბერს, ამუნდსენის მიერ სამხრეთ პოლიუსის აღმოჩენის წლის თავზე, მთელ ნორვეგიაში ჩატარებულ იქნა ამუნდსენის ხსოვნის დღე. ამუნდსენის ხსოვნის აღსანიშნავად შუადღის 12 საათზე ყველა მუშაობა შეჩერდა ორი წუთით, ნახევრად იქნა დახრილი დროშები ყველა საზოგადო და კერძო დაწესებულებათა შენობებზე და მთელ ნორვეგიაში დარეკეს ყველა ზარები. ყველგან გაიმართა კრებები და მიტინგები. (ადს).

ოპოზიცია დეპუტატთა ჯამაგირების გადიდების წინააღმდეგ

პარიზი, 14 დეკემბერი. დეპუტატებისათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ კანონპროექტის კენჭის ყრის დროს პალატის დეპუტატთა კომფრაქცია გამოვიდა დეკლარაციით, რომელშიაც აცხადებს, რომ ფრაქცია წინააღმდეგია ამ კანონპროექტისა. (ადს).

ფინეთის პრემიერის თხოვნა გადადგომის შესახებ

ჰელსინგფორსი, 14 დეკემბერი. ფინეთის პრემიერმა პრეზიდენტს გადასცა თხოვნა მთავრობის გადადგომის შესახებ. გადადგომის თხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ სეიმმა მიიღო დღის წესრიგზე გადასვლის ისეთი ფორმულა, რომელსაც ვერ დასთანხმდება მთავრობა. (ადს).

ამხ. ანტონოვ-ოვსეენკოს დანიშვნა

მოსკოვი, 14 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: განთავისუფლოს ამხ. აროსევი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მოვალეობიდან (ლიტვაში) და მის ნაცვლად ლიტვაში წარმომადგენლად დაინიშნოს ამხ. ანტონოვ-ოვსეენკო, რომელიც ამჟამად არის საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ჩეხო-სლოვაკიაში. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რეპარაციის პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება.

მოსკოვი, 13 დეკემბერი. „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი ეხება ლუგანოში მიმდინარე მოლაპარაკებას მოკავშირეებსა და გერმანიას შორის და სწერს:

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბრიანსა, ჩემბერლენსა და შტრეზემანს შორის წარმოებულ მოლაპარაკების შემდეგ, რეპარაციის პრობლემა ისევ გადაუწყვეტელი რჩება.

ინგლის-საფრანგეთის კიდევ უფრო დაახლოვებისაკენ მიმართული მუშაობა პროგრესიულად ვითარდება.

ინგლისის ელჩი საფრანგეთში ვილიამ ტირრელსი აყენებს ახალ გეგმას, რომელიც გულისხმობს ინგლის-საფრანგეთის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას. ვილიამ ტირრელის გეგმის თანახმად ამ კავშირს უნდა შეუერთდეს იტალიაც.

უიმედო საქმის მოტრფიალენი.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება შემდეგს:

რამდენიმე საბანკო ფირმამ გადასწყვიტა ბერლინი გადააქციონ რუსეთის განძეულობათა ყოფილ მეპატრონეების ინტერესების დაცვის ცენტრად.

საუბარი ამხ. კალინინთან და ს. ორჯონიკიძესთან.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. დღეს დილით ამხ. მ. კალინინსა და ს. ორჯონიკიძეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ საკავშირო ცაკის წევრ გლეხებთან. საუბარი უმთავრესად ეხებოდა საკავშირო ცაკის უკანასკნელ სესიის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას, მიმდინარე საბჭოთა არჩევნების ხელმძღვანელობის, ღარიბთა შორის მუშაობის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებს.

როგორ მოვსპოთ კუდები.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. „პრავდა" ეხება „კუდების" მოსპობის საკითხს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დიდმა ცენტრებმა უნდა მიხედონ მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კოოპერატიულ კავშირის მაგალითს. აღნიშნულ კოოპერატიულ გაერთიანებამ მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა კუდების მოსასპობად. გადიდებულ იქნა გამყიდველებისა და სალაროების რიცხვი, წინასწარ სწონიან და ახვევენ საქონელს. ამგვარი წესის შემოღების შემდეგ კოოპერაციის მთელ რიგ მაღაზიების წინ თითქმის სრულიად აღარ არის კუდები.

ბაზრის მოუწესრიგებლობა დიდ როლს თამაშობს კუდების შექმნაში. ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მშრომელ მოსახლეობის შორის. დიდ ცენტრების კოოპერატიულ ორგანიზაციებმა ყოველი ზომები უნდა იხმარონ საკუთარ ინიციატივის გამოსაჩენად ბაზრის მოწესრიგების დარგში. საქონლის ნაკლებობით თავის გამართლება, როგორც მოსკოვის მაგალითი გვიჩვენებს, ბევრ შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოა.

პროფკავშირთა მერვე საკავშირო ყრილობა

ამხ. ტომსკის მოხსენება*)

მოსკოვი, 14 დეკემბერი. „საკავშირო დემოკრატიის განვითარებაში,—სთქვა ამხ. ტომსკიმ,—ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ. მაგრამ ეს წარმატება საკმაო არ არის. მართალია, დამახინჯების შემთხვევები სულ უფრო და უფრო იშვიათია, მაგრამ ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევებს კიდევ აქვს ადგილი, გვიკარნახებს ინტენსიურად განვავითაროთ საპროფკავშირო დემოკრატია. საპროფკავშირო დემოკრატიის პირველ და ძირითად პირობას წარმოადგენს მუშათა ფართო თვითკრიტიკა. უკანასკნელ დროს პროფკავშირებს ფართოდ აკრიტიკებდნენ. ჩვენ რომ გვაკრიტიკებენ, ეს კარგია. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ მცირედ გვაკრიტიკებენ ქვედა ფენები და მუშათა ფართო მასები ჩვენთვის კი განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანი კრიტიკა არის ფართო პროლეტარული ფენების კრიტიკა. საჭიროა შეიქმნას ამხანაგური კრიტიკის, ამხანაგური პოლემიკის ატმოსფერა, საჭიროა მაქსიმალურად ჩავაბათ ფართო თვითკრიტიკაში თვით მუშები.

მეორე პირობა, რომელიც საჭიროა საპროფკავშირო დემოკრატიის მაქსიმალურად გაშლისათვის, არის არჩევის სისტემა. სიების სისტემით კენჭის ყრას ბოლო უნდა მოეღოს მხოლოდ ფართო, სრულიად განუსაზღვრელი არჩევის სისტემა მოგვცემს ფართო დემოკრატიის გარანტიას, მაგრამ ეს კიდევ არ არის უტყუარი. საჭიროა საპროფკავშირო დისციპლინა. საჭიროა, რომ ფართო არჩევის სისტემასთან ერთად უმცირესობა ემორჩილებოდეს უმრავლესობის გადაწყვეტილებებს. დისციპლინა საჭიროა ქვედა საფეხურებიდან ზედა საფეხურამდე და ზედა საფეხურებიდან ქვედა საფეხურამდე აგრეთვე საჭიროა. რომ მუშებმა სავსებით განახორციელონ ის თავიანთი უფლება, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ ვადამდე გამოიწვიონ ისეთი პირები, რომლებსაც მასა აღარ ენდობა, და მათ მაგიერ აირჩიონ სხვები“.

შემდეგ ამხ. ტომსკი შეეხო სამუშაო ხელფასის საკითხს. მან აღნიშნა, რომ ამ დარგში არის ერთგვარი მიღწევები.

„მაგრამ აქ,—სთქვა ამხ. ტომსკიმ,—მაინც არის დეფექტები და შეცდომები. მრეწველობის მრავალ დარგში და უმთავრესად მძიმე ინდუსტრიაში სამუშაო ხელფასი ჩამორჩენილია. ამაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ პროფკავშირებს ვერ დავდებთ ბრალს. ეს აიხსნება მრავალი ობიექტიური პირობით, მაგალითად. სამეურნეო მუშაკები ადვილად თანხმდებიან ხელფასის მომატებაზე რენტაბელურ წარმოებებში და უარს ამბობენ ხელფასის მომატებაზე „არარენტაბელურ“ წარმოებებში. ეს არ არის ნორმალური და აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ სამეურნეო მუშაკებს შორის საჭიროა მეტი სატარიფო დისციპლინა, ხოლო პროფკავშირებმა მეტი ენერგია უნდა გამოიჩინონ სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის მრეწველობის ჩამორჩენილ დარგებში“.

ამხ. ტომსკი შეეხო საწარმოო თათბირებისა და საკონტროლო კომისიების საკითხს და აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს საწარმოო თათბირების მუშაობა გაუმჯობესებულა, მაგრამ გაუმჯობესებულა არასაკმაოდ. ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა საწარმოო თათბირებს ხვდებიან საწარმოო კომისიებით, საწარმოო თათბირების მუშაობას არავითარი ხელმძღვანელობა არ ეწევა. საწარმოო თათბირები იშვიათად იკრიბებიან და სამეურნეო მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ აფასებს საწარმოო თათბირებს, მას შეგნებული არ აქვს ამ თათბირების ამოცანების მნიშვნელობა. ყველა ეს დეფექტი აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. საწარმოო თათბირების მუშაობაში საჭიროა ძირითადი გარდატეხა.

„ჩვენს უდავო მიღწევას და სამეურნეო, ეკონომიური და პოლიტიკური გამოცდის ჩაბარებას,—განაგრძო ამხ. ტომსკიმ,—წარმოადგენენ წარმოებებში დაარსებული დროებითი საკონტროლო კომისიები. ეხლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკონტროლო კომისიების სახით ჩვენ გვაქვს მძლავრი ორგანო მუშათა მასებთან დასაკავშირებლად. მაგრამ დღემდე პროფკავშირთა ორგანიზაციების 50-მდე პროცენტს ჯერ კიდევ არ შეუქმნია საკონტროლო კომისიები. ამას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. საკონტროლო კომისიების მოწყობას ყველგან ყოველნაირი დახმარება უნდა აღმოეჩინოს, დახმარება უნდა აღმოეჩინოს თვით კომისიების მუშაობას, მათი მუშაობა უნდა დაუკავშირდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობას.

საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე ერთ უარყოფით მოვლენას—შრომის დისციპლინის შესუსტებას. ბრძოლა შრომის ნაყოფიერებისათვის, ბრძოლა შრომის განმტკიცებისათვის უნდა გადაიქცეს პროფკავშირების სატარიფო-ეკონომიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მახლობელ პერიოდში. მაგრამ ამ ბრძოლაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ არა მარტო პროფკავშირები, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში სამეურნეო მუშაკებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო პროფკავშირები ყოველნაირად უნდა ეხმარებოდნენ მათ ამ საქმეში. პროფკავშირები ყოველთვის იბრძოდნენ და მომავალშიაც იბრძოლებენ წარმოების პროგრესიული ფორმებისათვის, შრომის დისციპლინის კულტურული ფორმებისათვის, უდისციპლინობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ წარმოებაში“.

შემდეგ ამხ. ტომსკი გადავიდა კულტმუშაობის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ ეს დარგი პროფკავშირთა მუშაობის უძნელეს და უმნიშვნელოვანეს ფრონტს წარმოადგენს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ამ ფრონტზე მრავალ ნაკლს აქვს ადგილი: სუსტად სწარმოებს ბრძოლა პროფკავშირების წევრთა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, მათ საერთო უკულტურობასთან, ლოთობასთან, ანტისემიტიზმთან, რელიგიურ განწყობილებებთან და სხვ.

განსაკუთრებით დაწვრილებით შეეხო ამხ. ტომსკი საკლუბო მუშაობის დეფექტებს.

„პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საკლუბო მუშაობა დამაკმაყოფილებლად ვერა გვაქვს დაყენებული, საკლუბო მუშაობაში ადგილი აქვს ხალტურას, უმოქმედობას და უპრინციპობას. ამას დაუზოგავად უნდა ვებრძოლოთ. ახალგაზრდათაგან უნდა აღვზარდოთ კლასობრივათ გამობრძმედილი კულტურული მებრძოლი. ეს არის მუშათა კლუბების არსებობის აზრი დანიშნულება. ამასთანავე მთელს კულტურულ მუშაობაში ხელი უნდა ავიღოთ ადმინისტრატიული ზეგავლენის მეთოდებზე, მბრძანებლობის მეთოდებზე და უყურადღებოთ, უკულტუროთ მიდგომაზე. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მუშები ხალისით მიდიოდნენ კლუბებში და არა კლუბებიდან გარბოდნენ ლუდხანებში.

პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ნაწილს წარმოადგენს ფიზკულტურა. პროფკავშირები დაინტერესებულნი არიან მუშათა ჯანსაღი თაობის შექმნით. ამიტომ ფიზკულტ. მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს მუშათა ახალგ. თაობის აღზრდის მთელ სისტემას. ფიზკულტურა არ შეიძლება გამოყოფილ იქნას პროფკავშირების მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობიდან. სწორედ ამიტომ სრულიად უნიადაგოდ და მავნედ მიმაჩნია იდეა „ფიზკულტურის ნებაყოფლობითი საზოგადოებების“ დაარსების შესახებ, რომელსაც აყენებს კომკავშირი. დასავლეთის მაგალითისათვის წაბაძვა ჩვენ არ გამოგვადგება: იქ მუშათა ყოველგვარი ნებაყოფლობითი ორგანიზაციების შექმნით კაპიტალისტები ხელში იგდებენ მუშათა ახალგაზრდობას. მიუხედავად ამისა, პროფკავშირები მაინც ხელს არ შეუშლიან ფიზკულტურის ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის ცდას, მაგრამ ამისათვის არ შეიძლება ამის დარღვევა, რაც შექმნეს პროფკავშირებმა, არ შეიძლება „ნებაყოფლობითი“ საზოგადოებანი შეიქმნან პროფკავშირების ხარჯზე“.

შემდეგ ამხ. ტომსკი შეეხო პროფკავშირების და კომკავშირის ურთიერთობის საკითხს. მან განაცხადა:

„არ შეიძლება კომკავშირის გამოყოფა პროფკავშირებიდან. არ შეიძლება ამის თქმა, რომ კომკავშირი აერთიანებს ახალგაზრდა მუშებს, ხოლო პროფკავშირი—სრულმასაკოვან მუშებს. მუშური ახალგაზრდობა მუშათა კლასის ნაწილია, ეს არის შემცვლელი თაობა და ამიტომ მუშათა კლასის შიგნით ახალგაზრდობის, როგორც პრივილეგიური ნაწილის, გამოყოფა არ შეიძლება. კომკავშირის ინტერესებს ჩვენ არ ვივიწყებთ: კომკავშირელები მონაწილეობას იღებენ პროფმუშაობის ყველა დარგში. მაგრამ არ კმარა მარტო მბრძანებლობა, საჭირო მუშაობის ცოდნაც, საჭიროა ყოველგვარი მოთხოვნა შეუფარდოთ ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებს და შესაძლებლობებს. კარგია, რასაკვირველია, თუ ახალგაზრდობას მივცემთ დასასვენებელ სახლებს, აგარაკებს, ხანგრძლივ შვებულებებს და მრავალ სხვა პრივილეგიას. მაგრამ ჩვენ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მთელი მუშათა კლასის მდგომარეობა, მივსცეთ ყოველივე ეს ყველა კატეგორიის მუშებს—სრულასაკოვან მამაკაცებს და დედაკაცებს. ყველა ამისათვის კი საჭიროა დიდი სახსრები, რომლიც ჩვენ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. საჭიროა ენერგიული და შეთანხმებული მუშაობა. ახალგაზრდობა მონაწილეობას უნდა იღებდეს პროფკავშირების ყოველდღიურ მუშაობაში, მან უნდა ისწავლოს მუშათა მასებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება“.

შემდეგ ამხ. ტომსკი გადავიდა პროფკავშირების საერთაშორისო მუშაობის საკითხებზე, მან მოკლედ დაახასიათა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე და შეჩერდა ნორვეგია-ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ ხელშეკრულებაზე (ხელშეკრულება დადებულ იქნა კოპენჰაგენში 1928 წლის 18 აპრილს).

„ამ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები,—სთქვა ამხ. ტომსკიმ,—დიდი ხანია დამტკიცებულია საბჭოთა პროფკავშირების მიერ, ყრილობამ უნდა აღნიშნოს ეს გარემოება და გამოსთქვას სურვილი, რათა ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ დამტკიცებულ იქნეს.

საანგარიშო პერიოდში პროფკავშირების მთელი პოლიტიკა მიმართული იყო მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანებისაკენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველგან სადაც კაპიტალისტის ხელი ყელში წვდებოდა მუშას,—განაცხადა ამხ. ტომსკიმ,—საბჭოთა პროფკავშირები პირველნი უწვდიდნენ მუშებს დახმარების ხელს. ყველგან და ყოველთვის ისინი პირველნი იქნებიან საერთაშორისო პროლეტარიატის შემდგომ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. თერთმეტი მილიონი მუშა და მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი—ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალაა შრომისა და კაპიტალის ბრძოლაში“.

კამათი ამხ. ტომსკის და დოგადოვის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 14 დეკემბერი. 13 დეკემბერს პროფკავშირთა ყრილობის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ტომსკის და დოგადოვის მოხსენების გარშემო.

ამხ. **ჟდანოვი** შეეხო კამათს, რომელიც სწარმოებდა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსა და ლენინურ კომკავშირის ცეკას შორის ახალგაზრდა მუშების შრომისა და განათლების საკითხების გარშემო. ორატორმა განაცხადა, რომ ახალგაზრდა მუშების შრომის დაცვის მიზნით საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ მიიღო ორი დადგენილება: პირველი—უსასყიდლო შაგირდობის აკრძალვის შესახებ და მეორე—მოზარდთა სამუშაო ხელფასის სათანადო კვალიფიკაციის სრულ ასაკოვან მუშების ხელფასთან დაახლოების შესახებ. უკანასკნელი დადგენილება ჯერ-ჯერობით არ ტარდება ცხოვრებაში. მოზარდთა ჯავშანი უკანასკნელ დროს შემცირებულია 70.000 კაცამდე. შემდეგ ამხ. ჟდანოვმა აღნიშნა, რომ მოზარდთა შორის უმუშევრობა იზრდება, დავადების პროცენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

„საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს,—სთქვა ამხ. ჟდანოვმა,—საჭიროდ მიაჩნია, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლები ამზადებდნენ მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის და საშუალო კვალიფიკაციის მუშებს, ხოლო მასიური პროფესიის მუშების მომზადება ხდებოდეს ინდივიდუალური და საბრიგადო შეგირდობის გზით. ასეთი ნაბიჯი, საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას აზრით, ფაქტიურად ნიშნავს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების ლიკვიდაციას.

ამხ. **ივანოვმა, ბორისოვმა** და **შოლოხოვმა** ილაპარაკეს მძიმე საბინაო პირობების შესახებ სამთომადნო და საფეიქრო მრეწველობაში.

ამხ. **მაჩაიძემ** (საქართველო) განაცხადა, რომ გამოკვლევითი მუშაობა, რომელიც ბოლო დროს ძალიან გაფართოვდა, ნერვიულ მდგომარეობას ჰქმნის და ხშირად ხელს უშლის ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების ნორმალურ მუშაობას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. სტეფანოვმა, კროტოვმა, სელეზნევმა, კურამისოვმა, კოზელევმა, ნეფედოვმა, ვასილევსკიმ და ავდეევმა.

პროფკავშირთა ყრილობის საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კრუპსკაიამ.

„პროლეტარული კულტურის ფრონტი,—განაცხადა ამხ. კრუპსკაიამ,—ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტია. პროფკავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ სახალხო განათლების ფართო გეგმის შედგენას. საჭიროა გადავისროლოთ ლოზუნგი: მახლობელი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პროფკავშირების წევრთა შორის. პროფკავშირების გავლენა უნდა გაძლიერდეს საბჭოების ცალკე სექციებში, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ შრომისა და კულტურის საკითხებთან. ფაბრიკა-ქარხნებში მუშები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ სახალხო განათლების საკითხებისადმი, მუშები ფართოდ იხილავენ საკითხებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მთელს სასკოლო სისტემასთან“.

ამხ. კრუპსკაიამ გამოსთქვა იმედი, რომ შემდეგში პროფკავშირები განათლების საკითხებით დაინტერესებენ მშრომელთა ფართო მასას.

შემდეგ გამოვიდა ამხ. **კოსარიოვი** (საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკა), რომელიც შეეხო საკითხს ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ წარმოებაში და იმ დავას, რომელიც ამ საკითხის გარშემო სწარმოებდა პროფკავშირებსა და კომკავშირს შორის.

„კომკავშირი,—განაცხადა მან,—მოითხოვს ახალგაზრდობის საწარმოო განათლების მაქსიმალურად დაკავშირებას ახალგაზრდა მუშების საერთო პოლიტიკურ აღზრდასთან. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია საქარხნო შეგირდობის სკოლები. ამის ნაცვლად აყენებენ მოკლევადიან კურსებს, რომლებიც გამოდგება მხოლოდ სრულასაკოვანი მუშის კვალიფიკაციის ამაღლებლად. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე დავა მოზარდთა ჯავშანის შესახებ.

ამხ. კორაევი საკავშირო ლენინურ კომკავშირის 2 მილიონი წევრის სახელით აცხადებს რომ კომკავშირს სურს პროფკავშირებთან შეთანხმებულად მუშაობა თვითკრიტიკის საფუძველზე. საჭიროა, რომ პროფკავშირები დიდი ყურადღებით და თანაგრძნობით ეპყრობოდნენ ახალგაზრდა მუშების ყველა წინადადებას.

ახალგაზრდობის მუშაობის შესახებ წარმოებებში ილაპარაკა აგრეთვე ამხ. **ვიდენეევმა** (ლენინგრადი). ამხ. **ბორშევსკიმ** განაცხადა, რომ პროფკავშირებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ 7 საათის სამუშაო დღის გატარებას. ორატორის სიტყვით, აქამდის ვერც პროფკავშირებმა და ვერც საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ ვერ შესძლეს მუშათა ფართო მასების დაინტერესება ამ საკითხით.

სხდომის დასასრულს გამოვიდა რემედასის წარმომადგენელი ამხ. **პესტკოვსკი**, რომელმაც მოუწოდა ყრილობას,—დასვას პროფესიონალური ორგანიზაციების წინაშე გლეხთა შორის რემედასის მუშაობის ფართოდ გაშლის ამოცანა. (ადს).

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 289.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სოციალური დანიშნულება

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილება)

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის პერიოდში ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტების სწორი სოციალური დანიშნულების და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების კოოპერაციაში შეკავშირების ტემპის საკითხებს.

1926—27 წლის მუშაობის შედეგად უნდა აღინიშნოს **სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობის ძირითადი ხაზის სისწორე საერთოდ და მთლიანად**, რაც გამოხატება იმაში, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ძირითად კადრებს შეადგენენ ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობანი, რომ საკრედიტო თანხები მეტ წილად ეძლევა იმავე მცირე შეძლების და საშუალო შეძლების მეურნეობებს, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის, რომ საკმაოდ გარკვეული არ იყო კლასობრივი ხაზი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის მუშაობაში და ადგილი ჰქონდა პარტიის დირექტივების მნიშვნელოვნად დამახინჯებას მცირე შეძლების გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირების ტემპის დარგში და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სოციალური დანიშნულების დარგში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის თანხები გამოყენებული არ ყოფილა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის სტიმულის მიცემის მიზნით.

დეფექტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, გამოწვეული იყო ქვედასაფეხურების პარტიული კომიტეტების, ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის, რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრების ხელმძღვანელი მუშაობის სისუსტით და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ქვედა საფეხურის ძველის კადრების მოუმზადებლობით.

ასეთი მდგომარეობის შედეგია შემდეგი დეფექტები:

1. ღარიბ და საშუალო მეურნეობათა კოოპერაციაში შეკავშირების ტემპი ჩამორჩა შეძლებული მეურნეობების კოოპერაციაში შეკავშირების ტემპს იმის გამო, რომ

ა) საკმაო არ იყო ანარიცხები ღარიბთა კოოპერაციაში შეკავშირების ფონდის სასარგებლოდ;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის სხვადასხვა საფეხურმა მთლიანად ვერ გამოიყენეს ეს ფონდები;

გ) კოოპერაციაში შესაკავშირებლად გამოყენებულ იქნა ადმინისტრატიულ-მექანიკური მეთოდები სასოფლო საბჭოების სიების მიხედვით;

დ) სუსტი იყო მასიური სააგიტაციო-ახსნაგანმარტებითი მუშაობა;

ე) პარტორგანოები და კოოპერატიული სისტემა სისტემატიურ მუშაობას არ აწარმოებდნენ ღარიბთა ჩასაბმელად საკრედიტო კოოპერაციაში;

ვ) ადგილი ჰქონდა „საკამპანიო“ მუშაობის მეთოდების გამოყენებას.

2. ღარიბ და საშუალო მეურნეობისათვის მიცემული კრედიტი საგრძნობლად ჩამორჩება შეძლებული მეურნეობისათვის მიცემულ კრედიტს; ღარიბ და საშუალო მეურნეობათა წილი ნაკლებია აგრეთვე განაწილებული კრედიტების საერთო თანხაში.

3. რაიონის ყოველ სოციალურ ჯგუფში კრედიტი ეძლეოდა უფრო ძლიერ მეურნეობას.

4. კრედიტების ცალკე მიზნობრივი დანიშნულების მხრივ (ს.-ს. მანქანები და იარაღი, პროდუქტიული საქონელი, სასოფლ.-სამ. შენობები) შეძლებულ მეურნეობებს უფრო მეტი კრედიტები მიეცათ, ვიდრე ღარიბ-საშუალო მეურნეობებს. მათი ხვედრითი წონა კრედიტების მიღების მხრივ უფრო მაღალია, ვიდრე მათი ხვედრითი წონა წევრების საერთო რიცხვში.

5. საკრედიტო გეგმების დარღვევა და თანხების მნიშვნელოვანი გადატანა გრძელვადიანი კრედიტებიდან მოკლევადიან კრედიტებში, რაც აგრეთვე იწვევს ღარიბი გლეხობის მონაწილეობის შემცირებას კრედიტის მიწოდებაში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მიერ ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ მიღებული რეზოლუციის განსავითარებლად და ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობაში არსებული დეფექტების გამოსასწორებლად, რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა სისტემატიური ხელმძღვანელობა და კონტროლი უნდა გაუწიონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობის სწორ დანიშნულებას, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) უნდა გაძლიერდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების კოოპერაციაში ჩაბმის ტემპი;

ბ) ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების კოოპერაციაში ჩაბმა უნდა განხორციელდეს კოოპერატიულ-საზოგადოებრივი გზით (ღარიბი გლეხობის კრებები და სხვ.) და უნდა შესწყდეს ადმინისტრატიული მეთოდები გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების საქმეში;

გ) უნდა დაწესდეს თვალყურის დევნება იმაზე, რომ ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირების ფონდში თავის დროზე შეტანილ იქნას დაწესებული ანარიცხები; აგრეთვე უნდა დაწესდეს თვალყურის დევნება იმაზე, რომ ფონდი მართებულად იქნას გამოყენებული;

დ) აღებულ უნდა იქნას მტკიცე კურსი იმ მიმართულებით, რომ კრედიტების საერთო თანხაში მაქსიმალურად გადიდდეს ღარიბ გლეხთა მეურნეობებისათვის (პირველ რიგში) და საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის მისაწოდებელი კრედიტების წილი;

ე) უნდა გაცხოველდეს საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების მუშაობა საკრედიტო ამხანაგობებში;

ვ) უნდა დაწესდეს, რომ საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობებმა პერიოდულად ჩააბარონ ანგარიში თავიანთი მუშაობის შესახებ [illegible] კომიტეტებს, გლეხების სოფლის აქტივის და ღარიბ გლეხთა ჯგუფების საერთო კრებებს;

ზ) პარტიულმა კომიტეტებმა მუდმივი კავშირი უნდა გააბან სასოფლო-სამეურნეო ბანკებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრების კომფრაქციებთან ამ უკანასკნელთა მიერ რევიზიების ჩატარების დროს და შემდეგ უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად სრულდება რევიზიის დროს მიცემული მითითებანი;

თ) პარტიულმა კომიტეტებმა სასტიკად უნდა ადევნონ თვალყური საკრედიტო ამხანაგობათა საბჭოების, სარევიზიო კომისიების და გამგეობების სოციალურ შემადგენლობას და უნდა გასწმინდონ ისინი ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც გახრწნილნი არიან შეძლებული კულაკური ფენების გავლენით;

ი) ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფრაქციამ უნდა დაამუშაოს საკითხი კრედიტების მიწოდების შესახებ იმ სოფლების ღარიბი გლეხობისათვის, რომლებიც გეოგრაფიულად დაშორებულნი არიან საკრედიტო ამხანაგობების გამგეობებისაგან;

კ) ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა და რესპუბლიკანურმა სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა სათანადო სიმაღლეზე უნდა დააყენონ საკრედიტო ამხანაგობათა წევრების შემადგენლობის დინამიკის აღრიცხვა და შესწავლა სოციალურ-ქონებრივი ჯგუფების მიხედვით და მათ შორის კრედიტების განაწილება.

თბილისის პარტაქტივის კრება

გუშინ, საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში, შესდგა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებაზე ვრცელი მოხსენებით, საკავშირო კომპარტიის ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. ლ. ლოლობერიძე.

მოხსენების ირგვლივ კამათში ჩაეწერა ოცდახუთ ამხანაგამდე. კამათი გადაიდო შემდეგი კრებისათვის, რომელიც შესდგება ორშაბათს, 17 დეკემბერს.

ნებაყოფლობითი საზ.-ბათა მუშაობა

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას რეზოლიუცია

აგიტაცია - პროპაგანდისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მოხსენების გამო

ცეკა აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობაში, რაც გამოიხატა მშრომელთა ფართო მასების შეკავშირებასა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო მათ დარაზმვაში. ამავე დროს ცეკა აღნიშნავს მთელ რიგ არსებით დეფექტებს, რომელთა თავიდან აცილებლადაც მას საჭიროდ მიაჩნია:

1) ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობა უნდა სწარმოებდეს მათ მიერ შეკავშირებული მასების აქტივობის ზრდასთან შეფარდებით, ამ მასების საჭიროებათა გათვალისწინებით და პარტიის მიერ წამოყენებული პოლიტიკური ლოზუნგების საფუძველზე.

2) რადგან ნებაყოფლობითი საზოგადოებები, საბჭოთა საზოგადოებრიობის მთელი სისტემის პირობებში, წარმოადგენენ ფართო მასების ორგანიზაციის ყველაზე უფრო მოქნილ და გავრცელებულ ფორმებს, ისეთ ფორმებს, რომლების საშუალებითაც შესაძლებელია ამ მასების აქტივობის წარმართვა სოციალისტური მშენებლობის გზით, ამიტომ მიღებულ იქნას ყოველივე ზომა არსებულ ნებაყოფლობით საზოგადოებათა განვითარებისა და განმტკიცებისათვის და წარმოებულ იქნას გადამწყვეტი ბრძოლა ამ საზოგადოებების არასაკმაოდ შეფასების წინააღმდეგ.

3) მიექცეს ყურადღება მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებას ნებაყოფლობითი საზოგადოებების შიგნით, რისთვისაც საჭიროა მუშაობის ტემპის გაძლიერება, მუშაობის საუკეთესო მეთოდების გამონახვა და წევრთა მასების ჩაბმა საზოგადოებების პრაქტიკულ საქმიანობაში.

4) ნებაყოფლობითი საზოგადოებების ორგანიზაციულად აგების საქმეში აღებულ იქნას მტკიცე კურსი იმ მიმართულებით, რომ აღმოფხვრილ იქნას ზედმეტი ცენტრალიზმი და სავალდებულო არ იყოს უჯრედების მოწყობა საწარმოო ნიშნების მიხედვით. ნებაყოფლობითი საზოგადოებების უჯრედების მოწყობა, როგორც წესი, დაშვებულ იქნას ყველგან (ცეხში, საწარმოში, დაწესებულებაში, კლუბში, სოფლის სამკითხველოში და სხვ.-გან), მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასა დაინტერესებულია ამა თუ იმ საზოგადოების მუშაობით და თუ საზოგადოების წევრებისთვის მოიპოვება სათანადო პრაქტიკული საზოგადოებრივ - სასარგებლო სამუშაო.

5) მოხდეს ლიკვიდაცია ნებაყოფლობითი საზოგადოებების პარალელურად არსებული უჯრედებისა ახალგაზრდობის ხაზით.

6) მიღწეულ იქნას ნებაყოფლობითი საზოგადოებების აპარატის ხარჯების მაქსიმალური შემცირება შტატის შემცირებისა და მუშაობის რაციონალიზაციის გზით (წითელი ჯვარი, წერა-კითხვა და სხვ.). უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი ორგანიზაციების თვითმოქმედების მაქსიმუმი, რისთვისაც მათი მუშაობა უნდა შეეფარდოს ადგილობრივი ხასიათის ამოცანებს და დაუკავშირდეს ცენტრის საერთო ღონისძიებებს.

7) ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობის კოორდინაციის შეთანხმების და გაძლიერებისათვის ადგილებზე, მაზრებსა და ოლქებში ყველა საზოგადოების ხარჯზე დაინიშნოს თითო ჯამაგირიანი პასუხისმგებელი მუშაკი.

8) მიექცეს ყველა ნებაყოფლობითი საზოგადოებების სერიოზული ყურადღება შრომის უნარიანი საკუთარი აქტივის აღზრდას და პრაქტიკულ მუშაობაში მის სისწორით გამოყენებას; აღებულ იქნას უფრო გადამჭრელი კურსი იმ მიმართულებით, რომ საზოგადოებათა ხელმძღვანელი ორგანოების აქტიურ მუშაობაში ჩაბმულ იქნან უპარტიო მუშები და გლეხები.

9) მოისპოს კომერციული გადახრა ზოგიერთ ნებაყოფლობით საზოგადოებათა მუშაობაში და ამ საზოგადოებების სავაჭრო პუნქტები გადაეცეს სათანადო კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ამ ამოცანათა მიხედვით, გადასინჯულ იქნას სათანადო ნებაყოფლობითი საზოგადოებების წესდებები მათში სათანადო კორექტივებისა და ცვლილებების შესატანად.

10) გაძლიერებულ იქნას ნებაყოფლობითი საზოგადოებების ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელობა თავიანთ ქვედა ორგანიზაციებზე; მათ უნდა მისცენ საერთო იდეური მიმართულება ამ ორგანიზაციების მუშაობას და განამტკიცონ კავშირი ცალკე ორგანიზაციებს შორის.

11) გადასინჯულ იქნას ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაკთა შემადგენლობა.

12) გაძლიერებულ იქნას ნებაყოფლობით საზოგადოებებზე ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების მხრივ; მიეცეს უკანასკნელთ ამის შესახებ სათანადო დირექტივები ცეკას ხაზით.

13) წინადადება მიეცეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციას — ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ნებაყოფლობით საზოგადოებებს მათს მუშაობაში და მისცეს ყველა კავშირს ამ საგანზე სათანადო მითითებანი.

14) ჩატარებულ იქნას სათანადო მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის, რომ მოწვეულ იქნას ბავშვების მეგობართა საზოგადოებების, რადიოს მოყვარულთა და ურწმუნოთა კავშირის რესპუბლიკანური ყრილობები ამ საზოგადოებათა ცენტრალური ორგანოების შესაქმნელად.

15) პერიოდულ პრესასა და კედლის გაზეთებში რაც შეიძლება ფართოდ და სავსებით გაშუქებულ იქნეს ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობა.

16) მიენდოს ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებას — ამ რეზოლიუციის საფუძველზე და შერჩევითი გამოკვლევის არსებული მასალების მიხედვით დაამუშაოს პრაქტიკული წინადადებანი თვითეული ნებაყოფლობითი საზოგადოებისათვის ცალკე.

თათბირი ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ

13 დეკემბერს, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში გაიხსნა ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავეთა გაფართოებული თათბირი.

თათბირი გახსნა ამხ. ს. მამულიამ, მოკლე შესავალი სიტყვით.

ეროვნული უმცირესობანი საქართველოში

თათბირმა მოისმინა ამხ. ზიტოევის მოხსენება ნაციონალურ უმცირესობათა შორის კულტურული მუშაობის მდგომარეობაზე და ამოცანებზე.

1921 წლის შემდეგ, საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ყოფა-ცხოვრებას და მათ შორის კულტურული მუშაობის წარმოებას დიდი ყურადღება ექცევა.

საქართველო მრავალ ეროვნებებით დასახლებული ქვეყანაა. აქ ცხოვრობს კომპაქტიურად 20-ე სხვადასხვა ეროვნება.

ნაც-უმცირესობათა კულტურულ ეკონომიური დონე და ყოფა-ცხოვრება სხვადასხვა სიმაღლეზე სდგას.

ნაც-უმცირესობათა უმრავლესობა რუსებისა და ებრაელების გამოკლებით ცხოვრობს სოფელში. საქართველოში ზოგიერთ ნაც-უმცირესობათა კულტურა და მეურნეობა დიდათ ჩამორჩება საერთო განვითარების დონეს.

არსებული ნაც-უმცირესობათა სასკოლო ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ზოგიერთ ნაც-უმცირესობათა სკოლების პედაგოგთა კვალიფიკაცია ძალიან დაბალია. ზოგან კიდევ არიან მასწავლებლებათ შინაური განათლებით დალაქები, მოლები და აგრეთვე ხოჯები და ბიჭებიც. ასეთ სკოლებში კომპლექსური მეთოდით სწავლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სკოლებს აკლია ინვენტარი, სახელმძღვანელოები და სხვა;

მასწავლებელთა მომზადებული კადრი თავს არიდებს სოფლად მუშაობას. ნაც-უმცირესობის ბავშვებს პირველდაწყებით სკოლებში უხდებათ სამი ენის სწავლა: სახელმწიფო ენის, რუსულის და დედაენის, რაც დიდ დაბრკოლებებს ჰქმნის. საჭიროა ამ სკოლებში სწავლების დროის გახანგრძლივება. ნაც-უმცირესობათა ენებზე ნაკლებათ არის გამოცემული სახელმძღვანელო წიგნები.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებიც ძალიან მცირეა. უმეტეს მათგანს არა ჰყავთ აგრონომები. განათლების კომისარიატის ხელმძღვანელობა ნაც-უმცირესობათა სკოლებზე ცუდათ არის დაყენებული.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. ჰასან-საბრიმ, ტაგიევმა, ჩხარტიშვილმა, ლინეცკიმ, სოსიანმა, გალდავამ, მატინიანმა, არლოსოვმა და სხვამ.

თათბირის შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, საღ. 6 საათზე.

ქართველი მენშევიკები--სამხედრო ჯაშუშები

„მათ ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერც ვერაფერი დაივიწყეს“.

რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში შეიძლება შეხვდეთ მრავალ ისეთი კატეგორიის ადამიანებს, რომელნიც იმდენად ბრმავდებიან პოლიტიკურ ბრძოლაში, რომ ჰკარგავენ ყოველგვარ პერსპექტივას და რევოლიუციონურ მოღვაწეთაგან იქცევიან პოლიტიკურ ავანტიურისტებად.

ამის მეტად თვალსაჩინო მაგალითს გვაძლევს ქართული მენშევიზმის ისტორია. მან დაიწყო ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობასთან, ხოლო თავის „ისტორიას“ ათავებს ბრძოლით მსოფლიოში ერთად-ერთ რევოლიუციონური ხელისუფლების წინააღმდეგ, პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ, საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ. ცარიზმის წინააღმდეგ გამართული გაფიცვებიდან და დემონსტრაციებიდან აგვისტოს ავანტიურამდე მეტად დიდი მანძილია.

ეს მანძილი განვლო ქართულმა მენშევიზმმა თავისი განვითარების ბუნებრივ მსვლელობაში.

სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის 8 წელმა საბჭოთა საქართველოში ვერაფერი ასწავლა მენშევიკებს.

რის მოწმენი ვართ უკანასკნელ წლებში?

მენშევიკებმა, რომლებმაც უსასტიკესი დამარცხება განიცადეს საქართველოს მშრომელთაგან 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის დღეებში, მაინც არ აიღეს ხელი საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზე. ისინი შეუდგნენ უაღრესად საიდუმლო არალეგალურ მუშაობას და თავიანთი რიგების გადაჯგუფებას.

დროებით ეს ერთგვარ დაწყნარებას ნიშნავდა.

მენშევიკების საზღვარგარეთის ბიურომ (**ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი** და სხვ.), რომელსაც თავი მოაქვს საქართველოს „მთავრობათ“, 1926 წლის დასაწყისი ჩათვალა შესაფერ მომენტად იმისათვის, რომ გაეცხოველებინა ბრძოლა საბჭოთა მთავრობასთან, საქართველოში სპეციალური დავალებებით გამოიგზავნა საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებული **პარმენ ფირცხალაიშვილი**. იწყება მენშევიკების არალეგალური მუშაობის ახალი გაცხოველების პერიოდი.

1926 წლის ბოლო ხასიათდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებით.

ინგლისის ხელმძღვანელობით იარაზმებიან საერთაშორისო რეაქციის ძალები საბჭოების რესპუბლიკის დასათრგუნავად. ამ ძალების ხროვაში არც მენშევიკები დაივიწყეს. მათ მიიღეს რამდენიმე ნამცეცი ნასუფრალი. ერთი-ორი დაპირება და გამალებით დაფაცურდნენ, დაიწყო დაუსრულებელი თათბირები შეთანხმებები, მოლაპარაკება სხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან, ჩხუბი ჯერ კიდევ „არმოკლული დათვის ტყავის“ გასაყოფად და სხვ. ბოლოს როგორც იყო დიდი ვაი-ვაგლახით მორიგდნენ და შეჰქმნეს კოალიცია.

პარმენ ფირცხალაიშვილის მუშაობას უკვე საკმაოდ აღარ სთვლიან და 1927 წლის დამდეგს საქართველოში იგზავნება ახალი რწმუნებული—**ივანე ქარცივაძე** „თვით“ ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის დირექტივებით. მას უნდა დაეწყო მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ყველას ახსოვს ის ავანტიურისტული დოკუმენტები, რომლებიც ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ქარცივაძის დაპატიმრების დროს და რომლებიც თავის დროზე პრესაში გამოქვეყნდა.

ერთ-ერთ ამ დოკუმენტში, რომელიც დაწერილია ნ. რამიშვილის მიერ „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის“ მისამართით დიდი ამბით ავტორი აცხადებს, რომ ... „დღის წესრიგში დასმულია საკითხი ბოლშევიზმის დამხობის და საბჭოთა კავშირის დანაწილების შესახებ. უკვე საბოლოოდ გამოირკვა კომუნისტური სისტემის გაკოტრება“...

„საბჭოთა კავშირის სრული იზოლიაცია მომზადებულია“.

„ანტი-რუსული ბლოკი ახლოა თავის მიზნების განხორციელებასთან. დღევანდელ დღემდე მას ხელმძღვანელობდა ინგლისი, ეხლა კი მის გვერდით გაჩნდა იაპონია“... და სხვ.

აქედან პოლიტიკური „დირექტივა“:

„თქვენი მოვალეობაა სულიერი სიმტკიცე და ორგანიზაციის გამაგრება, რათა საჭირო მომენტში სახელმწიფო ხელისუფლებას დაეპატრონოთ“-ო.

მეორე დოკუმენტში, რომელსაც სათაურად აქვს „აბესალომის საყურადღებოდ“, იგივე ნოე რამიშვილი უკვე დაწვრილებით აძლევს დირექტივებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეპატრონონ მენშევიკები ამ ხელისუფლებას:

„ამ მიზნით დღეიდანვე უნდა გავაბათ მეტად კონსპირატიული კავშირი ქართული არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობასთან, რათა შესაფერ მომენტში შეგვეძლოს მათზე დაყრდნობა არმიაში მყოფი ბოლშევიკების—უფროსებისა და ჯარისკაცების დასაპატიმრებლად“.

ამრიგად მენშევიკების ლიდერებს არ ასვენებს ოცნება ხელისუფლების შესახებ. მათ ხელისუფლება სურთ. ოღონდ ხელისუფლება მიიღონ და ყველაფრისთვის მზად არიან! ყველა საშუალება კარგია ხელისუფლების დასაპყრობათ. დეე ამისათვის საჭირო გახდეს ინტერვენცია, საჭირო გახდეს ომი და ათასობით ხალხის დაღუპვა, ოღონდ ძალაუფლება ისევ მათ ხელში გადავიდეს, ასეთია ეხლანდელი მენშევიზმის მორალი!

რევოლიუციონური ლოზუნგებისა და რევოლიუციონური თეორიიდან ნიშანწყალი აღარ დარჩა. ისინი შესცვალა „სალი გონების“ პოლიტიკამ.

მაგრამ უბედურება იმაშია, რომ საჭირო ხდება ბლოკის შეკვრა ნამდვილ თეთრგვარდიელებთან და ფაშისტებთან. „მთლიან ფრონტს“ ანტანტა მეტ ფულს აძლევს. აქედან გამომდინარეობს ნ. რამიშვილის ახალი დირექტივა (აბესალომისათვის გაგზავნილ იმავე წერილში):

„ჩვენი ცნობებით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტად სუსტია, მას ცენტრალური კომიტეტი არ ჰყავს. საჭიროა მისი ცენტრი შეიქნას და უკანასკნელმა ზურგი გაუმაგროს **ამირეჯიბსა** და **გვაზავას**. თუ სხვაგან არ მოხერხდება, სადაც შენ იქნები, ახლოს მოაწყობიე ეს ცენტრი“.

ამრიგად მენშევიკები გამოდიან ბურჟუაზიულ-შოვინისტური პარტიის ამაღორძინებელთა როლში. ღირსშესანიშნავი სურათია. მაგრამ თუ ხელსაყრელია ბურჟუაზიული პარტიის აღორძინება და მასთან ბლოკის შეკვრა, კიდევ უფრო ხელსაყრელია კარგი ურთიერთობა ეკლესიასთან. ამის შესახებ ნ. რამიშვილის წერილი იძლევა შემდეგ დირექტივას:

„იქონიეთ სახეში ის გარემოება, რომ ჩვენ ინგლისში ელჩის საშუალებით დაკავშირებული ვართ ეპისკოპოზ პიკოპარ **კენტერბურიელთან**, ხოლო რომში პაპთან გვყავს განსაკუთრებული წარმომადგენელი **ივანიცკი (რ. ინგილო)**. ყოველშემთხვევაში უნდა მოგვაწოდოთ ყოველგვარი ცნობა რაც ეკლესიას ეხება. ევროპაში ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს“.

ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის დირექტივები მარტო ქაღალდზე არ დარჩნენ, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრნა; ამ დირექტივებს გამოუჩნდნენ გულმოდგინე ამსრულებელნი პარმენ ფირცხალაიშვილის და სხვების სახით. მენშევიკებმა დიდი ფაცი-ფუცი ასტეხეს ამ დირექტივებთან დაკავშირებით.

1927 წლის მაისში მოწვეულ იქნა მენშევიკების მე-4 არალეგალური „ყრილობა“ (სულ შეიკრიბა 12 კაცი). საზღვარგარეთის ბიუროს დირექტივის შესასრულებლად ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც ჩვენ აქ სრულად მოგვყავს, ვინაიდან მას უთუოდ აქვს დიდი მნიშვნელობა:

„ყრილობა ავალებს ეროვნულ მთავრობას გამონახოს სასურველი მოკავშირენი ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებს შორის, რომლებიც შესაფერ მომენტში დაგვეხმარებიან როგორც იარაღით, ისე დიპლომატიური ჩარევით, განმანთავისუფლებელ ბრძოლაში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, აგრეთვე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიიღებენ სათანადო ზომებს განთავისუფლებულ საქართველოს დახაცავად რუსეთის თავდასხმისაგან“.

ტექსტი ამოღებულია პარმენ ფირცხალაიშვილის დაშიფრული წერილის დედანიდან, რომლის ფოტოგრაფიულ სურათს აქვე ვათავსებთ. წერილი დაშიფრულია ნ. ჟორდანიას ბროშურით „პოლიტიკა“, გვ. 83.



ამრიგად ამ, უკაცრავად პასუხია, სოციალისტური პარტიის ყრილობამ ფორმალურადაც დაუჭირა მხარი ინტერვენციას და საქართველოს ფაქტიურად ანტანტისათვის გადაცემას.

მეტი დაცემა და მეტი გამცემლობა პოლიტიკური პარტიისაგან ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა აქაც მოახერხეს დაეწესებიათ სისაძაგლის რეკორდი. როგორც უკვე დოკუმენტალურადაა დამტკიცებული, მენშევიკური ორგანიზაციები საქართველოში, საზღვარგარეთის ბიუროს დირექტივის თანახმად **ეწეოდნენ სამხედრო ჯაშუშობას უცხოეთის სახელმწიფოთა შტაბების სასარგებლოდ!**

აქვე მოგვყავს იმ წერილების ნაწილის ფოტოგრაფიული სურათები, რომლებითაც მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულმა პარმენ ფირცხალაიშვილმა მიმართა **ნ. ჟორდანიასა** და **ნ. რამიშვილს**





ამ პირველი ორი ნაწყვეტის შინაარსი ასეთია:

„ამასთან ერთად გიგზავნი „იაკინთეს“ წერილს 17 ფურცელზე.

ანალოგიური ხასიათის სამხედრო ცნობები ჩვენ ოთხჯერ გაუგზავნეთ სტამბოლს.

„საჭიროა „იაკინთეს“ აღმოეჩინოს მატერიალური დახმარება, ის სისტემატიურად მშიერია. ეს მხედველობაში მიიღეთ.

გვაცნობეთ, შესაძლებელი არის თუ არა ამ ცნობების გადაცემა მთლიანად რამდენიმე ადგილისათვის.

მე წამოვალ პირველ შესაძლებლობისთანავე, დაახლოებით ივნისში.

„იაკინთეს“ წერილის შიფრი შეგიძლიათ ახსნათ ა. ნ. პოტრესოვის წიგნით „В плену у иллюзий“, გვ. 58. ხოლო ამ წერილის წასაკითხად გამოიყენეთ ერთ-ერთი იმ სამი შიფრიდან, რომელიც მე და თეიმურაზმა ვიცით. შემდეგ ეს შიფრი გაატანით „სერგოს“, ვინაიდან ჩემი შიფრი მასთან საეჭვო გახდა და იმით სარგებლობა მომავალში აღარ შეიძლება“.

წერილი დაშიფრულია ლექსით „ხბო“. წერილში მოხსენებული „თეიმურაზი“ ნ. რამიშვილი, ხოლო „სერგო“—ვასო წულაძე.

მესამე ფოტოგრაფიული სურათი წარმოადგენს „იაკინთეს“ ჯაშუშური წერილის ნაწყვეტს. შიფრის გამორკვევის შემდგომ ჩვენ გვაქვს ასეთი მისი შინაარსი:

„ბათალიონი, რკინის გზის როტა, ქიმიური ბათალიონი, სამხედრო სკოლა, ერთი საავიაციო ბათალიონი. იმის დროს სურათი შეიძლება შეიცვალოს, მედიკამენტების მარაგი მცირეა“.



პარმენ ფირცხალაიშვილი და მის შესაცვლელად ჩამოსული მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს ახალი რწმუნებული **ალექსანდრე ლორდელი**, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ 1928 წელს, თავიანთ ჩვენებაში ადასტურებენ მათი ჯაშუშური მუშაობის ფაქტს და აცხადებენ შემდეგს:

1. პარმენ მაქსიმის ძე ფირცხალაიშვილის ჩვენება 1928 წლის 4 ნოემბერს

„1926 წლის მაისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ, რომელიც იმყოფება პარიზში ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის სახით, დამნიშნა მე ბიუროს რწმუნებულად და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელად. მე მივიღე სათანადო დირექტივები და დავალებები იმ მუშაობის შესახებ, რომელიც საქართველოში უნდა მეწარმოებია, და პარიზიდან გამოვემგზავრე საქართველოში. საზღვარგარეთის ბიუროდან მიღებული დირექტივების თანახმად გზაში შემხვდა საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებული—ამ ბიუროს წევრი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი (ჯერ კიდევ ლეგალობის დროს)—ვასო წულაძე, რომელმაც მომცა დაწვრილებითი დარიგება ჩემი მომავალი არალეგალური მუშაობის შესახებ საქართველოში, მან აგრეთვე სპეციალურად დამავალა შემეკრიბა სამხედრო დაზვერვის ხასიათის მასალები და სპეციალური შიკრიკის საშუალებით სისტემატიურად გადამეგზავნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს რეზიდენტ ესკე კეჭაყმაძისათვის, რომელსაც ეს ცნობები უშუალოდ უნდა გაეგზავნა ვასო წულაძისათვის.

იმ ხნის განმავლობაში, რაც მე ვმუშაობდი საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულად და საქართველოს მენშევიკური არალეგალური ორგანიზაციის ფაქტიურ ხელმძღვანელად, 1926 წლის ივლისიდან დაპატიმრების დღემდე, ე. ი. 1928 წლის 14 ივლისამდე, მე შევძელი მომეგვარებია მუშაობა სამხედრო დაზვერვის ხასიათის მასალების შესაკრებად. ამ ხნის განმავლობაში სპეციალური შიკრიკის საშუალებით გადავუგზავნე სამხედრო დაზვერვის ხასიათის მასალები ხუთი ფოსტით. აქედან ოთხი გადავუგზავნე ვასო წულაძეს რეზიდენტ ესკე კეჭაყმაძის საშუალებით, ხოლო მეხუთე ფოსტა უშუალოდ გადავუგზავნე საზღვარგარეთის ბიუროს პრეზიდიუმს — ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს და სხვ.

ის ცნობები, რომლებიც მე გადავუგზავნე როგორც საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს (პარიზი), ისე ბიუროს რწმუნებულს ვასო წულაძეს, იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო დაზვერვის ხასიათის და ეხებოდნენ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მდგომარეობას.

ცნობები ცალ-ცალკე იყო შეკრებილი სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს რესპუბლიკების შესახებ.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებული ვასო წულაძე ჩემ მიერ გადაგზავნილ სამხედრო დაზვერვის ხასიათის მთელ მასალას აძლევდა უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და ამაში სათანადო ჯილდოს იღებდა. ერთ-ერთ გადაგზავნილი სამხედრო დაზვერვის ხასიათის ფოსტით მე ვეკითხებოდი საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს—ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილს შეიძლებოდა თუ არა ასეთი ცნობების ერთსა და იმავე დროს მიყიდვა რამდენიმე უცხოელ სახელმწიფოს სამხედრო შტაბებისათვის.

მე აგრეთვე ვთხოვდი ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილს მხედველობაში მიეღოთ „იაკინთეს“ სერიოზული მუშაობა და სათანადო დახმარება აღმოეჩინათ მისთვის — ეს აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნდა.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ზემოხსენებულს დავძინო, რომ საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელების მიერ სამხედრო დაზვერვის და ჯაშუშური ხასიათის მასალების შეკრება და ამ მასალების საზღვარგარეთ გადაგზავნა უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო შტაბის მიერ გამოსაყენებლად მიმაჩნია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრული დაშლისა და იდეური გაკოტრების მაჩვენებლად.

პ. ფირცხალაიშვილი.

—:—

2. ალექსანდრე არტემის ძე ლორდელის ჩვენება 1928 წლის 13 ნოემბერს.

1927 წელს, საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულის ივანე ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ, საზღვარგარეთის ბიურომ მე დამნიშნა თავის რწმუნებულად საქართველოში, რათა ხელმძღვანელობა გამეწია საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიისათვის. გამომგზავრების წინ საზღვარგარეთის ბიუროს პრეზიდიუმისაგან (ჟორდანია, რამიშვილი, მენაღარიშვილი) მივიღე დირექტივები ჩემი მომავალი მუშაობისა და საქართველოში პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ. ხოლო დაწვრილებითი დირექტივები ამ საკითხებზე მომცა ნ. რამიშვილმა (ბიუროს თავმჯდომარის ამხანაგი).

გასული წლის 5 სექტემბერს ბიუროს პრეზიდიუმის წინადადების თანახმად მე წავედი საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულთან პოლონეთში **იოსებ სალაყაიასთან**, რომლისგანაც უნდა მიმეღო პოლონური პასპორტი. სალაყაიას დახმარებით ვიშოვე პასპორტი **იბრაგიმ რომანოვიჩის** სახელზე და გამოვემგზავრე დანიშნულებისამებრ. მე შემხვდა ვასო წულაძე—საზღვარგარეთის ბიუროს წევრი და იმავე ბიუროს რწმუნებული. წულაძემ მთხოვა შემეკრიბა და სპეციალური ფოსტით გადამეგზავნა მისთვის სამხედრო დაზვერვის ხასიათის ცნობები კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მდგომარეობის შესახებ. მე დავპირდი, რომ რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შევასრულებდი მის თხოვნას.

8 თუ 10 ნოემბერს გამოვემგზავრე საქართველოში, სადაც ჩამოვედი დეკემბრის პირველ რიცხვებში და დავუკავშირდი საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებულს საქართველოში პარმენ ფირცხალაიშვილს, რომლისგანაც უნდა მიმეღო ჩვენი პარტიული აპარატი. მე თანდათან გავეცანი ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების მდგომარეობას. ამ მუშაობის დროს გავეცანი პარმენ ფირცხალაიშვილის სამხედრო დაზვერვის ხასიათის მუშაობას და 1928 წელს, 23 იანვარს მე და პარმენ ფირცხალაიშვილმა გადავუგზავნეთ ვასო წულაძეს სამხედრო დაზვერვის ხასიათის ცნობები წითელი არმიის (კავკასიის წითელდროშოვანი არმიის) მდგომარეობის შესახებ. ეს ცნობები მთლიანად დაშიფრული იყო ა. ნ. პოტრესოვის წიგნის მიხედვით „В плену у иллюзий“ (გვ. 58) და შეიცავდა 6 გვერდს. წერილი ამ ცნობებით გაეგზავნა „სერგოს“ ამხანაგ ვასო წულაძეს. წერილზე იყო წარწერა: „შიფრი გახსნას „ლამურამ“ იმ შიფრით, რომელიც მას ვასოსთან აქვს“.

წერილის ტექსტი რუსულ ენაზე იყო შედგენილი.

როგორც „**ოთარი**“ ე. ი. პარმენ ფირცხალაიშვილი ამბობდა, ასეთი ხასიათის ცნობები მან რამდენჯერმე გადაუგზავნა ვასო წულაძეს.

პარმენ ფირცხალაიშვილის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ, მე, როგორც საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებული, გავაგრძელებდი სამხედრო დაზვერვის ხასიათის ცნობების გადაგზავნას, თუ კი მივიღებდი ასეთ ცნობებს.

ჩემი ჩვენების დასასრულ მინდა განვაცხადო, რომ საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიისა და მისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ (ცენტრალური კომიტეტი, საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებული და სხვ.) სამხედრო დაზვერვის ხასიათის ცნობების შეკრება და მათი საზღვარგარეთის ბიუროსათვის და მისი რწმუნებულებისათვის გადაგზავნა უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოების გენერალური შტაბებისათვის გადასაცემად მიმაჩნია სამარცხვინოდ და საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულ იდეურ-პოლიტიკურ გაკოტრებად.

ალექსანდრე არტემის ძე ლორდელი“.

ასეთია ქართველი მენშევიკების საქმიანობის სავალალო შედეგი. მენშევიკები საბოლოოდ მოსწყდნენ მშრომელ მასებს, ბრძოლის პროცესში დაჰკარგეს მთელი თავიანთი იდეური ბაგაჟი და მთელი თავიანთი პროლეტარული კადრები, რომელნიც ჩამოშორდნენ მათ და გადავიდნენ ჭეშმარიტი საბჭოთა მშენებლობის მხარეზე; მენშევიკები გადაიქცნენ პოლიტიკური ავანტიურისტების უბადრუკ ჯგუფად, რომელნიც არაფერს, **სამხედრო ჯაშუშობასაც კი**, აღარ ერიდებიან. მათი ხვედრი ისტორიის სანაგვეა.

ლავრენტი ბერია.

საბჭოთა არჩევნებისათვის

საბჭოთა არჩევნები საბჭოთა მუშაობისა და მთელი სახელმწიფო აპარატის გენერალური შემოწმებაა.—საბჭოების მთელი მუშაობა უნდა გავატაროთ პროლეტარულ კრიტიკის ქარცეცხლში! გამოვააშკარაოთ ყველა დეფექტები და დავსახოთ ნათელი პერსპექტივები მომავლისათვის!

საბჭოთა ხელისუფლების მტრები შეეცდებიან თვითკრიტიკის გამოყენებას თავიანთ კლასიური მიზნებისათვის. ჩვენ უნდა მოვიმარჯვოთ თვითკრიტიკის იარაღი კულაკებისა და ნეპმანების ნამდვილ ზრახვათა გამოსააშკარავებლად.

პროფკავშირების კულტორგანოების მონაწილეობა არჩევნებში

საქ. პროფსაბჭოსთან შესდგა პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობების კულტგანყოფილებათა და მუშათა კლუბების გამგეების თათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო საარჩევნო კამპანიაში პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანოების მონაწილეობის საკითხი.

მოხსენება გააკეთა ამხ. ქშონზერმა.

როგორც ვიცით,—განაცხადა მომხსენებელმა,—საბჭოთა არჩევნების კამპანია მიმდინარეობს საბჭოების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლების და ამ მუშაობაში მშრომელთა ფართედ ჩაბმის ლოზუნგით. პროფკავშირების კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა საბჭოთა მუშაობის გამოცოცხლების ლოზუნგს უნდა მისცენ მხატვრული ფორმა, რომელიც მასებისათვის მისაწვდომი უნდა იქნეს. ამ კამპანიის ცენტრად უნდა გახდენ მუშათა კლუბები და ჩვენს წარმოებებთან მოწყობილი წითელი კუთხეები.

როგორი ხასიათი უნდა ექნეს საკლუბო მუშაობას კამპანიის ჩატარების დროს? პირველ ყოვლისა, გამოყენებული უნდა იქნეს კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ყველა ფორმები. ამ ფორმებში ყველაზე უფრო მარტივი და ამიტომ მასებისათვის ყველაზე უფრო მისაწვდომი არის ლექციები, მოხსენებები და კითხვა-პასუხის საღამოები. ლექციებისა და მოხსენების სანიმუშოთ სერია დაახლოვებით ახეთ თემებს უნდა შეიცავდეს: „როგორ უძღვება თბილისის საბჭო ქალაქის მეურნეობას?“ „როგორ გაიზარდა ქალაქი?“; თბილისის საბჭოს მიღწევები“, „ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობა“ და სხვ., ამ არჩევნებში აქტუალური მნიშვნელობა ეძლევა ახეთ საკითხებს, როგორიც არის სამომხმარებლო და საბინაო კოოპერაციის მუშაობა, სწავლა-განათლების საკითხი, სასოფლო მეურნეობა, ქვეყნის ელექტროფიკაცია და სხვა

საბჭოების მუშაობის და მათი მიღწევების საპოპულიარიზაციოთ შეიძლება მოეწყოს ექსკურსიები მუნიციპალურ მუზეუმში, ქალაქის სხვადასხვა რაიონებში, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს (მაგალითად პურის ქარხანაში, მუშათა ახალ უბნებში, სასაკლაოზე, მაუდის ფაბრიკაში და სხვაგან).

პროფკავშირთა საბჭო შეუთანხმდა მთელ რიგ მწერლებსა და ლიტერატორებს იმ მასალების მხატვრული დამუშავების შესახებ, რომლებიც ახასიათებენ თბილისის საბჭოს მუშაობას. მათ მიერ შემუშავებული მხატვრული მასალა გამოყენებულ იქნება დრამატიული წრეების გამოსასვლელად მუშათა კლუბებში, ცოცხალი გაზეთებისათვის და სხვა კედლის გაზეთები უნდა გახდენ ერთ ერთი აქტიური აგიტატორები ამ კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მუშათა კლუბებსა და წითელ კუთხეებში მოაწყოს გამოფენები სადაც წარმოდგენილ იქნებიან ექსპონატები, რომლებიც მოგვცემენ ქალაქის საბჭოსა და მისი განყოფილებების მუშაობის ნათელ სურათს.

ძეტად საპასუხისმგებლო ამოცანას ვაკისრებთ ამ საარჩევნო კამპანიაში აგრეთვე პროფესიონალური ხაზით მომუშავე ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, რომლებმაც ამ თავითვე უნდა შეარჩიონ ლიტერატურა საბჭოთა მშენებლობის შესახებ, დააგროვონ და გამოაკრან თვალსაჩინო ადგილებზე დიაგრამები და სტატისტიკური მასალები და აგრეთვე ჩვენი ყოველდღიური გაზეთების ის ნომრები, სადაც მოთავსებულია მასალები საბჭოთა მშენებლობის შესახებ.

დაახლოვებით ახეთია ჩვენი სანიმუშო პროგრამა. ადგილებს სრული თავისუფლება ეძლევათ ეს პროგრამა დაამუშაონ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. მათ შეუძლიათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროგრამის იმ მხარეს, რომლის განხორციელების საშუალებას იძლევა მათი ნივთიერი რესურსები და მხატვრული შესაძლებლობა.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ წინანდელი არჩევნების დროს კავშირებმა ვერ გამოიჩინეს შესაფერი აქტივობა საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში. განსაკუთრებით სუსტი იყო იმ კავშირების მუშაობა რომელთა წევრები მუშაობენ და სცხოვრობენ სოფლად. კავშირების კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. მათი მონაწილეობა არჩევნებში განისაზღვრებოდა იმით, რომ არჩევნების ჩასატარებლად ამრჩეველთა კრებებს უთმობენ შენობებს. ამ არჩევნებში ეს ნაკლი საფუძვლიანად უნდა იქნეს გამოსწორებული. კავშირების კულტგანყოფილებებმა უნდა მოახდინონ მთელი თავისი კულტურული ძალების მობილიზაცია თავი მოუყარონ ქალაქად და სოფლად მომქმედ მხატვრულ ძალებს იმისათვის რომ მიმდინარე კამპანიას მისცენ მხატვრული ფორმა და ამით უფრო მიმზიდველი და გასაგები გახადონ საარჩევნო კამპანია მასებისათვის.

თათბირმა კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის საფუძვლად მიმდინარე საბჭოთა საარჩევნო პერიოდისათვის მიიღო ამხ. ქშონზერის მიერ წარმოდგენილი სანიმუშო პროგრამა.

მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ცნობით

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ცნობით ამჟამად ყველა მაზრა-ქალაქებში და ავტონომიურ ერთეულებში მიმდინარეობს გაცხოველებული მოსამზადებელი მუშაობა საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. ამ მიზნით ადგილებზე ეწყობა თათბირები არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად, არსდება საარჩევნო კომისიები, მუშავდება საარჩევნო კამპანიის ჩატარების გეგმა, ადგენენ ამრჩეველთა და საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა სიებს, მზადდება საარჩევნო ყუთები და სხვ.

თათბირები

არჩევნებთან დაკავშირებით თათბირები უკვე ჩატარდა თბილისის, ბორჩალოს, ზუგდიდის, რაჭა-ლეჩხუმის, კახეთის და შორაპნის მაზრებში, აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკაში და სხვ. არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად, აგრეთვე დღეს, ქუთაისში შესდგება მაზრაღმასკომების გაფართოებული პლენუმი.

ზოგიერთ მაზრაში მოწვეული თათბირი არ შეეხებოდა მარტო საარჩევნო-საანგარიშო კამპანიის საკითხებს; მაგ. ბორჩალოს მაზრაში (ქ. შაუმიანში) მოწყვეთ თათბირზე, გარდა არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებისა, განხილულ იქნა განათლების განყოფილების მოხსენება, მოხსენება სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივის შესახებ, მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე და სხვ. ეს მოვლენა არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად, რამდენადაც იგი ხელს შეუშლის არჩევნების საკითხების ჯეროვან დამუშავებას.

მეტწილად კი მაზრებში მოწვეული თათბირები და სამაზრო აღმასკომების პლენუმები იხილავდნენ მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, თათბირებზე დასმული იყო როგორც პოლიტიკური, ისე ორგანიზაციული ხასიათის საკითხები და აგრეთვე მოხსენება მაზრაღმასკომის მუშაობის შესახებ (მაგ. ზუგდიდის მაზრაში).

თითქმის ყველგან საარჩევნო თათბირებზე მონაწილეობას ღებულობდნენ, გარდა თემსაბჭოს თავმჯდომარეებისა, კოოპერაციის, გლეხკომის, ქალთა ორგანიზაციის, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირზე დამსწრენი აქტიურათ მონაწილეობდნენ, დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაში. კერძოდ ყველა თათბირზე, ცხოველი კამათი იმართებოდა საარჩევნო ინსტრუქციის იმ მუხლების გარშემო, რომლებიც შეეხება საარჩევნო ხმის უფლების მქონე და არამქონეთა საკითხს.

საარჩევნო კომისიები

თითქმის ყველა მაზრაში და ავტონომიურ ერთეულებში შედგენილია სამაზრო და რესპუბლიკანური საარჩევნო კომისიები. იმ მაზრებში, სადაც მიღებულია ცნობები, საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დაცულია საარჩევნო ინსტრუქციით გათვალისწინებული წარმომადგენლობის ნორმა. აგრეთვე თემების უმეტეს ნაწილში ჩამოყალიბებულია საარჩევნო სათემო კომისიები, დანარჩენ თემებში კომისიების შედგენა გრძელდება და დამთავრდება ამ დღეებში.

სამაზრო და სათემო კომისიები სავსებით ჩამოყალიბებულია რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, აგეთივე მდგომარეობაა ქუთაისის, გორის, შორაპნის და სხვ. მაზრებში. ბორჩალოს, ზემო-სვანეთის და ზოგიერთ სხვა მაზრებში სათემო საარჩევნო კომისიების მოწყობა ჯერ არ დამთავრებულა.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ადგილობრივი ორგანიზაციები. მაგ. ზუგდიდის მაზრის ხოჯის თემის საარჩევნო კომისიის არჩევას, გარდა საბჭოს წევრთა 85 პროცენტისა, დაესწრო სხვადასხვა ორგანოებიდან — 11 წარმომადგენელი, ღარიბთა ჯგუფებიდან—50, საშუალო გლეხთა აქტივიდან—41 და ქალთა სადელეგატო კრებიდან—12.

საარჩევნო სიები

იმ მაზრებში, სადაც სათემო საარჩევნო კომისიები უკვე ჩამოყალიბებულია, დაწყებულია საარჩევნო ხმის უფლების მქონე და არამქონეთა სიების შედგენა, ზოგიერთ მაზრებიდან უკვე მიღებულია, ძირითად ერთეულებში შედგენილ საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა სიები შუამდგომლობით, მათთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების შესახებ.

როგორც ამ სიებიდან სჩანს, კვლავ მეორდება ის ტეხნიკური შეცდომები, რომელთაც ადგილი ქონდა გასულ არჩევნებში. მაგალითად, სათემო საარჩევნო კომისიის დადგენილება საარჩევნო ხმის უფლების წართმევის ან მინიჭების შესახებ, თანახმად ცირკულიარისა, შეუძლია დაარღვიოს, ან დაამტკიცოს სამაზრო საარჩევნო კომისიამ, მიუხედავად ამისა სამაზრო საარჩევნო კომისია შუამდგომლობს ცენტრ. საარჩევნო კომისიის წინაშე, რათა დამტკიცებული იქნეს მისი გადაწყვეტილება სათემო კომისიის დადგენილების გარშემო.

საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის ჩატარების გეგმები

ყველა მაზრები ადგენენ საარჩევნო კამპანიის ჩატარების გეგმას. გეგმის პროექტები მუშავდება მაზრაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების მიერ და სათანადო ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ მას ამტკიცებს საარჩევნო კომისია, გეგმები სავსებით შეთანხმებულია მოცემულ დირექტივებთან. ზოგიერთ მაზრებში სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჯერაც არ წარუდგენიათ სამაზრო საარჩევნო კომისიისათვის გეგმა საბჭოთა არჩევნებში მათი მონაწილეობის შესახებ, რის გამო შეუძლებელი ხდება მთლიანი გეგმის შედგენა (მაგ. რაჭა-ლეჩხუმის მაზრა).

პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრება

ყველა საარჩევნო სათემო ერთეულებზე საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობის გასაწევად მიმაგრებულია მაზრიდან პასუხისმგებელი ამხანაგები.

საარჩევნო უბნები

ყველა მაზრა ქალაქებში და ავტონომიურ ერთეულებში უკვე შემუშავებულია პროექტი ძირითად ადმინისტრატიულ ერთეულების საარჩევნო უბნებად დაყოფისათვის, რომელსაც ადგილობრივი საარჩევნო კომისიები პრაქტიკულად ატარებენ ცხოვრებაში.

საარჩევნო უბნების დაარსების შესახებ ცნობები მიღებულია 12 სამაზრო და ავტონომიურ ერთეულიდან. ამ მაზრებში (ახალქალაქი, ახალციხე, ბორჩალო, გორი, კახეთი, ქუთაისი და სხვ.) 1927 წელს იყო 2161 საარჩევნო უბანი, ხოლო მიმდინარე საარჩევნო კამპანიისათვის კი ნავარაუდევია 3364 უბანის დაარსება, ასე, რომ საარჩევნო უბნების რიცხვი წელს გადიდებულია 1203, ანუ 55.7 პროცენტით. ზოგიერთ მაზრებში (მაგ. ბორჩალოს) საარჩევნო უბნების რიცხვი გადიდებულია 2½-ჯერ.

ქალთა კონფერენციები და ღარიბთა კრებები

არჩევნებში ქალთა ფართე მონაწილეობის მიზნით ტარდება ქალთა აქტივის კონფერენციები (მაგ. რაჭა-ლეჩხუმი, ზუგდიდი და სხვ.).

ყველა მაზრაში მიმდინარეობს ღარიბთა შორის მოსამზადებელი მუშაობა, ხოლო ისეთ რაიონებში, სადაც ღარიბთა ჯგუფები ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული, მიღებულია ზომები ასეთების ჩამოსაყალიბებლად (ზუგდიდის მაზრის და რაჭა-ლეჩხუმის ზოგიერთ რაიონებში და სხვ.).

ქუთაისის მაზრაში

(წერილი ქუთაისიდან)

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი კამპანია ქუთაისის მაზრაში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. უკვე შედგენილია საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარი სამუშაო გეგმა. მომავალ საბჭოთა არჩევნების სწორად და გეგმიან მუშაობის ჩასატარებლად გამომუშავებული და მიღებულია შემდეგი ღონისძიებანი: ტარდება ქუთაისის მცხოვრებთა ხელახალი აღწერა, აღწერა დავალებული აქვს სტატისტიკურ განყოფილებას.

წარსულში არჩევნების დროს ქალაქი დაყოფილი იყო 9 საარჩევნო უბნათ, რათა მცხოვრებლებს გაუადვილდეთ მომავალ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა წელს ქალაქი დაყოფილია 13 უბნად. წინასწარი საანგარიშო კამპანიის და არჩევნების ჩასატარებლად გამონახულია თვითეულ უბანში შესაფერისი შენობა, თვითეულ საარჩევნო უბანზე მიმაგრებულია პროფკავშირები.

1-ლ იანვრიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლების არ მქონეთა სიები გამოკრულ იქნება თვითეულ უბანში. მსხვილ წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებზე ჩატარდება მოხსენებები სამაღმასკომის მუშაობის შესახებ.

გეგმის მიხედვით 15 დეკემბრამდე მთელ მაზრაში დამთავრდება საარჩევნო კომისიების გამოყოფა, 1-ლ იანვრამდე დამთავრდება თეთრ და შავ სიების შედგენა, რომელთაც გამოაკრავენ სოფლად და ქალაქად თვალსაჩინო ადგილებზე. 25 დეკემბრამდე დამთავრდება საარჩევნო უბნების განსაზღვრა-დაყოფა. 28 იანვრამდე დამზადებული იქნება საარჩევნო ყუთები და ჩაბარდება ამომრჩევლებს. 1-ლ იანვრიდან 20-მდე ჩატარებული იქნება კრებები.

არჩევნები დაიწყება თემებში 25 იანვრიდან და დამთავრდება 20 თებერვლამდე. ქალაქებში კი 1-ლ თებერვლიდან 25 თებერვლამდე.

საბჭოების მომავალ გადარჩევის კამპანიის პროცესში კულაკობა შეეცდება გააძლიეროს თავისი გავლენა სოფლად, რათა საბჭოებში გაიყვანოს მის მიერ წამოყენებული პირები. კულაკების ამ განზრახვებს უნდა დაუპირდაპიროს მოჯამაგირეთა ღარიბი და საშუალო გლეხობის შემჭიდროება-დარაზმვა.

აღსანიშნავია, რომ კულაკები აშკარად ვერ მოქმედებენ, მაგრამ ფარულად ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ. ღარიბი და საშუალო გლეხობა დარაზმული უნდა შეხვდეს არჩევნებს. ახალ საბჭოში უნდა ავირჩიოთ ენერგიულად მომუშავე ამხანაგები, რომ აღარ დაგვჭირდეს მათი უკან გამოწვევა, როგორც ამას ადგილი ქონდა წარსულში.

ს. მესხი.

ზუგდიდში

(წერილი ზუგდიდიდან)

ზუგდიდის სამ-აღმასკომის პრეზიდიუმმა 22 ნოემბრის სხდომაზე გამოყო სამაზრო საარჩევნო კომისია ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით. 1—2 დეკემბერს ჩატარდა სამაზრო აღმასკომის გაფართოებული პლენუმი თემ-საბჭოების თავმჯდომარეების და მდივნების, თემკომების და უჯრედების მდივნების, ქალთა ორგანიზატორების, პროფმუშაკების და ქალთა აქტივის მონაწილეობით. თათბირზე დამუშავებული იქნა საკითხი საბჭოთა არჩევნების კამპანიის ჩატარების შესახებ. თათბირის დადგენილებით მაზრაში მოეწყობა 32 სათემო და 8 სასოფლო საარჩევნო კომისია და 286 საარჩევნო უბანი.

სამაზრო საარჩევნო კომისიამ უკვე მიამაგრა თემებზე თავისი რწმუნებულები, რომლების პირველი თათბირი ჩატარდა 7 დეკემბერს. მიმდინარე კამპანიის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე მოხსენება გააკეთა ამხ. გაბუნიამ და ჯანაშიამ. ამავე თათბირზე მუხლობრივ განხილულ და შესწავლილ იქნა საარჩევნო ინსტრუქცია. სამ. კომისიის რწმუნებულები უკვე გაემგზავრა მიმაგრებულ თემებში. 15 დეკემბრისათვის ყველგან დაარსებული იქნება სათემო საარჩევნო კომისიები. გარდა ამისა საბჭოთა საარჩევნო კამპანიის საკითხები მუშავდება სხვადასხვა თათბირებზე და კონფერენციებზე (პროფესიონალურ, კოოპერაციის, ქალთა აქტივის და სხვ.).

ტ. ლუკავა.

ჭიათურა

მღვიმევის მაღაროებში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ვინახულე მღვიმევის მაღაროები.

ჭიათურიდან მღვიმევის მაღაროებამდე მიდის საურმე გზა. მაგრამ თუ გსურს გზა შეიმოკლო, უნდა იარო ბილიკით. ხოლო ასეთ სიარულს ჩვეული უნდა იყო. თუ არა გაქვს ერთგვარი აკრობატიული „ნიჭი“, მაშინ ადვილად გადიჩეხები კლდეზე.

არ შეუშინდი ბილიკით მოგზაურობის სიძნელეს, დავტოვე შარა გზა და შეუდექი აღმართს.

უზარმაზარი კლდეები ალმაცერად არიან დაკიდებულნი და წარმოადგენენ ერთ მთლიან კედელს. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: კლდეებში, მიუვალ ადგილას, გამოკვეთილია მრავალი მღვიმე, რომლებიც ამოშენებული არიან ხელოვნური კედლებით. გარკვევით მოსჩანან ქვიდან „კარები“ „ფანჯრები“ და კედლებში დატანებული ხვრელები. ადამიანი განცვიფრებაში მოდის ამ „შენობებით“, რადგან დღეს ცოცხალი არსება ვერ უდგება მღვიმეებს, მათ არსაიდან აქვს მისავალი. რა არის დაცული ამ მღვიმეებში, ვინ ცხოვრობდა იქ, ან რა მიზანი ჰქონდა მათ აშენებას, ყველაფერი ეს არავინ უწყის. ამისთანა მღვიმეები მრავლად მოიპოვება მთელ ყვირილას ხეობაში საჩხერემდე.

ერთ-ერთ ამისთანა მოზრდილ მღვიმეში, რომელსაც უდგება ვიწრო ბილიკი, აგებულია ე. წ. მღვიმევის მონასტერი.

დღეს, ეს მონასტერი, როგორც ძველი ხელოვნების ნიმუში, საქ. ცაკის დადგენილებით, გამოცხადებულია ისტორიულ ძეგლად. მონასტერი კარგად არის შენახული და იპყრობს ყურადღებას თავისი ლამაზი ჩუქურთმებით და მხატვრობით.

როდესაც უახლოვდები ამ მონასტერს, უეჭველად გაგახსენდება ერთი რამ: ჭიათურაში არ არის ეკლესია. და ასეთი არცა ყოფილა იქ.

აქაური მუშები ამბობენ, რომ მეფის დროს განზრახული იყო ეკლესიის აგება, მაგრამ, ალბად იმათ, ვინც ზრუნავდა ჭიათურის მუშების „სულიერ“ საზრდოზე, გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ეკლესიას არ ეყოლებოდა მრევლი და მიანებეს თავი მის აგებას.

მღვიმევის მაღლობებიდან, როგორც ბერებსა და მლოცველთათვის აგებული ყოფილა მრავალი ბინა. ჭიათურის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების მიუღია მხედველობაში ის გარემოება, რომ ბინები შეიძლება გამოყენებულ იქნენ უფრო რაციონალურად და ჩაუსახლებია შიგ ახლო მდებარე ქარხნების მუშები. ეხლა მონასტრის ეზო წარმოადგენს მუშათა პატარა უბანს, საიდანაც საუკეთესოდ მოსჩანს ყვირილას ხეობა დიდ მანძილზე და ქარხნები და მაღაროები.

დავტოვე მონასტერი და გავსწიე ზევით-მაღაროებისაკენ.

შუა დღე გადასული იყო. სიმღერით და ყიჟინით ჭიათურიდან ბრუნდებოდენ სოფლებში მოწაფეები. ახლომახლო სოფლებიდან მოწაფეები ყოველდღე დაიარებიან ჭიათურაში. დღეყოველდღე მათ უხდებათ 4—6 კილომეტრის გავლა.

მღვიმევის მაღაროებიდან, როგორც ხელის გულზე, მოსჩანს ჭიათურა, ყვირილას ხეობა, შორ მანძილზე გაფანტული შავი ქვის მადნის სარეცხი ქარხნები და რკინის გზის ლიანდაგთან დაგროვილი გარეცხილი შავი ქვის მთები.

დღეს ეს ხეობა ცოცხალია: ქარხნები გუგუნებენ და ისვრიან ზევით კვამლის ღრუბლებს, ფუსფუსებენ მუშები, მავტვირთავენ ურმებს და ვაგონებს, მავთულის საჰაერო გზაზე მისრიალებენ ელვის სისწრაფით შავი ქვით დატვირთული რკინის ყუთები, ექსკავატორი ასუფთავებს ღელეს, რომ გაუკაფოს გზა შეგუბებულ წყალს, გაჰკივის ქარხნის საყვირი და მას ბანს აძლევს რკინის გზის პატარა ორთქლმავალი.

ამ ოცი-ხუთი თვის წინად კი სულ სხვა სურათი იყო: გულსაკლავად გამოიყურებოდნენ შეჩერებული, უპატრონოთ ქარხნები, არავინ არა ზრუნავდა მათ მოვლა-პატრონობაზე; დღეში ორჯერ-სამჯერ აივლიდა მხოლოდ სამგზავრო მატარებელი საჩხერისაკენ და მარტო ის აღვიძებდა თავისი გრიალით მიწყნარებულ ხეობას.

∴

მღვიმევის მაღაროებში გაცხოველებული მუშაობაა. დღეს აქ მუშაობს 360-მდე მუშა.

მუშაობა აქ დაიწყო მხოლოდ სექტემბერში და ოთხი თვის განმავლობაში მაღაროებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მადნის ამოღება და თან დანგრეულ მაღაროების შეკეთება.

მუშებისათვის აქ საუკეთესო პირობებია, რადგან მაღაროებიდან ამოღებული მადანი აქვე ირეცხება. სარეცხი მანქანები აგებულია მაღაროების ახლო და მადანს ვაგონეტკებით შორს არ სჭირდება წაღება.

შემდეგ, გარეცხილი მადანი მავთულის გზით ჩადის პირდაპირ რკინის გზის ბაქანთან, სადაც სწარმოებს ვაგონების დატვირთვა.

მღვიმევის მაღაროების მადანი კარგი ხარისხისაა: გაურეცხავი მადანი შეიცავს 50—52 პროც. პეროქსიდს.

ოქტომბერში აქ მუშაობდა მხოლოდ 4 მაღარო, საიდანაც ამოღებულ იქნა 2.798 ტონა შავი ქვა.

მუშაობა თან და თან ფართოვდებოდა, შეკეთებულ იქნა უმოქმედო მაღაროები, გაიზარდა მუშა ხელის რიცხვი.

ნოემბერში უკვე მუშაობდა 6 მაღარო და ამ მაღაროებმა მისცეს ტრესტს ამ თვეში 8.043 ტონა შავი ქვა, სამჯერ მეტი, ვიდრე ოქტომბერში.

ამჟამად მიმდინარეობს კიდევ ერთი მაღაროს კაპიტალური რემონტი. ამ მაღაროს აღდგენა გამოიწვევს მადნის ამოღების ზრდას.

⁂

მუშებისათვის მღვიმეში აგებულია ხუთი საერთო საცხოვრებელი. თითო ოთახში მოთავსებულია ხუთი კაცი. მუშებს მიცემული აქვთ საწოლი და ლეიბი. დანარჩენი: საბანი, ბალიში და ზეწარი უნდა ჰქონდეს მუშას.

პირსახოცსა და საპონს აგრეთვე აძლევს ტრესტი..

სისუფთავე საცხოვრებელ ბინებში არ არის სათანადოთ დაცული, ტალახი აივანზე, სადგომ ბინებში და პირსაბან ოთახში.

ადგილკომმა უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და ამ მიმართულებით აწარმოოს სათანადო მუშაობა.

ბინებთან არის აბანო, რომელიც ხურდება ყოველ შაბათობით.

უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება იმ ოთახების მოწყობა-გალამაზებას, სადაც ცხოვრობენ მუშები. ეს ოთახები სტოვებენ უნუგეშო შთაბეჭდილებას თავისი ცარიელი კედლებით, საჭიროა ოთახების მორთვა ჩვენი ბელადების სურათებით, პლაკატებით, აქვე უნდა გამოიკრას ლოზუნგები, რომლებიც ეხებიან როგორც მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას, ისე სისუფთავის დაცვას და სხვა საჭირბოროტო საკითხებს.

ჯერ-ჯერობით მუშებისათვის არ არის მოწყობილი სასადილო და ისინი იკვებებიან მაღალი სანოვაგით, რაც არ არის ნორმალური.

აქაური კოოპერატიული დუქნით მუშები არ არიან კმაყოფილნი. ჯერ ერთი, რომ კოოპერატივში არ არის მუშებისათვის საჭირო ნივთები, მეორე — კოოპერატივი ხშირად დაკეტილია, მესამე — იქ არის მხოლოდ ერთი ნოქარი, რომელიც პურის აწონასაც ვერ ასწრებს და მუშებს უხდებათ ლოდინი და რიგში დგომა.

⁂

კულტურულ და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას მუშებს შორის ხელს უშლის შენობის უქონლობა კლუბისა და წრეებისათვის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ მრავლად მოიპოვება სათანადო შენობები, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის გადადგმული ნაბიჯი კლუბის მოსაწყობად.

არსებობს კულტკომისია, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ დრამატიულ წრის მუშაობას და გაზეთის გავრცელების საქმეს. ჩამოყალიბებულია სალიტერატურო წრე, რომელიც ჯერ არ შესდგომია მუშაობას.

არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. უცოდინართა ჯგუფში ირიცხება 30 კაცი, მცირე მცოდნეთა ჯგუფში — 32 კაცი. სკოლას ჰყავს 2 მასწავლებელი. სახელმძღვანელოებს სკოლა ღებულობს პოლიტგანიდან.

ბიბლიოთეკა - სამკითხველოს ჯერ არ გაუშლია თავისი მუშაობა. მაგიდაზე აწყვია რამოდენიმე ქართული გაზეთი, არის ცოტაოდენი წიგნებიც. სამკითხველო არ აწარმოებს მკითხველთა აღრიცხვას, რადგან ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე ერთდა იმავე დროს არის მასწავლებელიც და დრო არა ჰყოფნის ბიბლიოთეკაში იმუშაოს.

ადგილკომი მხოლოდ ამ რამოდენიმე დღის წინად შეუდგა საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. არსებობს თავდაცვა-ავიაქიმის და რემედსის უჯრედები, რომლებიც ამჟამად აწარმოებენ წევრების შეკრებას.

⁂

მღვიმევის მაღაროების მუშები უახლოეს მონაწილეობას იღებენ წარმოების გაფართოებაში.

აქაური ადგილკომის თავმჯდომარე კმაყოფილია მუშების აქტივობით.

ორ კვირაში ერთხელ იკრიბება საწარმოო კომისია, სადაც კომისიის წევრი-მუშები მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ეხებიან წარმოების მტკივნეულ მხარეებს. შემდეგ ეს საკითხები კომისიას გადააქვს საწარმოო თათბირებზე, რომლებსაც მუშები უკლებლივ ესწრებიან.

რა საკითხები იქნა გარჩეული საწარმოო თათბირზე?

ეს საკითხები ბევრია, მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. შევჩერდები მხოლოდ რამოდენიმეზე.

1) ვაგონეტკები მაღაროებში არ არის საკმაო რაოდენობით, რაც იწვევს მუშა-ხელის გაცდენას ტყუილ-უბრალოდ,

2) საჭიროა ქვის მტვრეველის შეძენა, რადგან ქარხანაში მიდის დაუმტვრეველი, მსხვილი ქვა, რაც აძნელებს მუშაობას,

3) წერაქვები ქარხანაში ვერ მზადდება შესაფერი სიმაგრით. ხშირია წერაქვის წვერის მომტვრევის შემთხვევა, რაც აფერხებს მუშაობას,

4) შეკეთებულ უნდა იქნეს საჩქაროდ ერთი მაღარო, საიდანაც შეიძლება მადნის ამოღება და კიდევ მრავალი სხვა.

მღვიმევის მაღაროების მუშებმა კარგად იციან, რომ მათზეა დამოკიდებული წარმოების წინსვლა და სცდილობენ ხელი შეუწყონ ჭიათურის მრეწველობის აყვავებას, რათა დაანახვონ ყველას, თუ როგორ უვლის და პატრონობს მუშათა კლასი თავის ქარხანა-მაღაროებს.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა, 12 დეკემბერი.

ღარიბთა ჯგუფების შემოწმება

გომბორის თემი, კახეთის მაზრა

თბილისის მაზრის ყველა თემებში მიმდინარეობს ღარიბთა ჯგუფების მუშაობის დათვალიერება და შემოწმება. ამასთან დაკავშირებით იმართება ღარიბთა ჯგუფების სათემო თათბირები. ამ თათბირების მიზანია ღარიბთა შორის შესრულებული მთელი ჩვენი მუშაობის საქმიანი შემოწმება, ამ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებების გამოსწორება და ღარიბთა და მოჯამაგირეთა მასების მომზადება მიმდინარე საარჩევნო კამპანიისათვის.

სულ რვა თვეა მას შემდეგ, რაც გომბორის თემში ჩამოყალიბებულ იქნა ღარიბთა ჯგუფები. ასეთი ჯგუფები მოეწყო სათემო საბჭოსთან, ორ გლეხკომთან, მერძევეთა არტელთან და სამომხმარებლო კოოპერატიულ საზოგადოების გამგეობასთან. ამ ხნის განმავლობაში თვითეულ ამ ჯგუფთაგანს ჰქონია სამი-ოთხი სხდომა. გაურჩევიათ შემდეგი საკითხები: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თვითდაბეგვრის, კოოპერატივის საპაიო თანხის გადიდების, ღარიბთა დახმარების შესახებ და სხვა.

მთავარი ნაკლი, რომელიც ამ მუშაობაში უნდა აღინიშნოს, არის გარკვეული გეგმის უქონლობა: მუშაკებმა ხშირად არ იციან თუ რა საკითხი უნდა დაისვას და გაირჩეს ღარიბთა ჯგუფების სხდომებზე.

მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენმა ორგანიზაციებმა და მუშაკებმა შეითვისეს პარტიის სასოფლო პოლიტიკა და ღარიბთა შორის სისტემატიური მუშაობის საჭიროება. მათ შესძლეს ყველა სოფლების ღარიბთა სრული აღრიცხვა; აღრიცხვის გარეშე არ დასტოვეს აგრეთვე კულაკური მეურნეობანიც, იმ მიზნით, რომ ყოველთვის მხედველობაში იქონიონ კულაკთა გამოსვლების შესაძლებლობა ამა თუ იმ კამპანიის ჩატარების დროს.

8 დეკემბერს გომბორში მოწვეული იყო ღარიბთა ჯგუფების სათემო თათბირი. ამ დღისათვის გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი, რომელიც სპეციალურად მიძღვნილი იყო ღარიბთა ჯგუფების დათვალიერებისათვის. გაზეთს თავში ამშვენებდა წარწერა დიდი ასოებით: „ღარიბთა ჯგუფების დათვალიერება—ლახვრის ჩაცემაა კულაკისათვის“. ამ წარწერის ქვეშ მოთავსებული იყო წერილი სათემო თათბირის ამოცანებზე, ხოლო შემდეგ საანგარიშო მოხსენება ღარიბთათვის გაწეულ დახმარების შესახებ.

თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ღარიბთათვის დახმარების გაწევა, 2. მომავალი საბჭოთა არჩევნების ამოცანები; 3. დელეგატების არჩევა ღარიბთა ჯგუფების სამაზრო კონფერენციისათვის. საანგარიშო პერიოდში —განაცხადა მომხსენებელმა პირველი საკითხის შესახებ,—ჩვენ შევძელით ღარიბებისათვის შემდეგი დახმარების გაწევა: უფასო საექიმო დახმარების გასაწევად გაცემულია 493 მან. 20 კაპ. ღირებული წამალი. განთავისუფლებულია ღარიბი გლეხობა დასაზღვევ ანარიცხებისაგან, რომელთა საერთო ჯამი 576 მანეთს შეადგენს. უფასოდ დარიგებულია ღარიბებზე 588 მანეთად ღირებული ხე-ტყე; გლეხკომებს მიუციათ უსასყიდლო დახმარება 245 მანეთის რაოდენობით. ღარიბთა კოოპერატიული შეკავშირების ფონდის საშუალებით შეყვანილია კოოპერაციაში წევრად 41 მეურნეობა. გარდა ამისა, სესხად გაცემულია გლეხკომიდან 600 ფუთი თივა (579 მანეთად ღირებული), დასასრულ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია ყველა მეურნეობათა 41 პროცენტი.

მოხსენებამ ღარიბთა შორის გამოიწვია გაცხოველებული კამათი. ღარიბები ლაპარაკობდენ ჩვენს ნაკლოვანებებზე, კულაკურ ელემენტების ოინებსა და გავლენაზე. ერთმა ღარიბმა გლეხმა განაცხადა: მოხსენებამ ღარიბთა ნივთიერი დახმარების შესახებ ჩემზე გამსკდარი ყუმბარის შთაბეჭდილება დასტოვა. როგორც სჩანს, ჩვენ ბევრი დახმარება გვეძლევა. მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერს გვეუბნება.

კამათის შედეგად მოჰყვა მრავალ ნაკლის გამოაშკარავება.

აი, რა აღნიშნეს ღარიბი გლეხობის წარმომადგენლებმა:

მოჯამაგირეთა კომიტეტი არავითარ მუშაობას არ აწარმოებს, მოჯამაგირეთა კომიტეტის თავმჯდომარე სისტემატიურად ლოთობს და მას მუდმივი კავშირი აქვს კულაკობასთან. ღარიბი გლეხები მოითხოვდნენ მოჯამაგირეთა კომიტეტის თავმჯდომარის დაუყოვნებლივ მოხსნას.

გლეხკომი არ უდგენს ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ წევრებს და ამის გამო ღარიბ გლეხობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს, თუ რას აკეთებს გლეხკომი.

გომბორის თემში დღემდე არ არსებობს საკრედიტო ამხანაგობა, რის გამოც ამ თემის ღარიბი გლეხობა მოკლებულია იმ კრედიტებს, რომელსაც სახელმწიფო იძლევა ღარიბი გლეხების მეურნეობის გასაძლიერებლად

თემში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. ამით აიხსნება ის, რომ თემში ერთზე მეტი კოლმეურნეობა არ არსებობს.

ბოჭორმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ გაამრუდა ჩვენი პარტიის კლასიური პოლიტიკის ხაზი. მან ზომაზე მეტად დაბეგრა და შეავიწროვა ღარიბი გლეხობა (ამჟამად იგი დაპატიმრებულია).

ღარიბი გლეხები შეეხნენ აგრეთვე წარსულ საბჭოთა არჩევნების ნაკლოვანებებს და საჭიროდ სცნეს ყოველმხრივი მომზადება მომავალი საბჭოთა არჩევნებისთვის.

ამ მოკლე ანგარიშიდან აშკარაა თუ რა საქმიანი ხასიათი ჰქონდა გომბორის თემის ღარიბთა თათბირს.

კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა პრაქტიკული ხასიათის წინადადებები.

ღარიბთა ჯგუფების ამ დათვალიერების ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ამ თემში მომქმედ ორგანიზაციების სუსტი მონაწილეობა დათვალიერებაში და ერთგვარი სიჩქარე დათვალიერების მოწყობასა და ჩატარებაში.

ე. გ.

წითელი ყაზარმის დათვალიერება

მოსკოვი, 14 დეკემბერი. მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოში შესდგა პრესის წარმომადგენელთა თათბირი საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობის შესახებ წითელი ყაზარმის დათვალიერებაში, რომელიც დაიწყება 1929 წლის 1 იანვარს და დამთავრდება წითელი არმიის თერთმეტი წლის თავზე—1929 წლის 23 თებერვალს. თათბირმა დაადგინა, ფართო ადგილი დაუთმოს წითელი ყაზარმის დათვალიერებას მთელი საბჭოთა პრესის ფურცლებზე. (ადს).

წითელი ყაზარმის დათვალიერება ა.-კავკასიაში

წითელი ყაზარმის დათვალიერების ჩასატარებლად ამიერ-კავკასიაში მოწყობილია ცენტრალური კომისია, რომელშიდაც შედიან: კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ვასილი (თავმჯდომარე), ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ნემერზელი, კავკ. წითელდროშოვან არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზო, თავდაცვა-ავიაქიმის ა.-კ. საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ეგიპკოვი, სამხედრო-საზღვაო ინსპექციის უფროსი ამხ. იაგნეტინსკი, გაზეთ „კრასნი ვოინი“-ს რედაქტორი ამხ. ანჩარსკი და სხვ. სულ კომისია შესდგება 12 წევრისაგან.

ადგილებზე უშუალო მუშაობის ჩასატარებლად ყველა სამხედრო ერთეულებთან მოწყობილი იქნება ცალკე კომისიები, რომლებიც იმუშავებენ ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობით. აზერბეიჯანსა და სომხეთში დათვალიერების მომწყობი კომისიები უნდა შეიქმნენ მიმდინარე თვის 20 რიცხვამდე.

გადაწყვეტილია დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო დაწესებულებებმა, კოოპერაციამ და მუშათა ფართო მასებმა მიზნით, რომ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, დათვალიერების მიმდინარეობა ვრცლად იქნება გაშუქებული პრესის, უმთავრესად, სამხედრო გაზეთების მიერ, ამავე დროს მოეწყობა შეჯიბრება საუკეთესო ყაზარმებზე.

შეჯიბრების წასახალისებლად განზრახულია დარიგდეს პრემიები, კომისიის აზრით პრემიების ჯამი იქნება დაახლოვებით 20-დან 30 ათას მანეთამდე.

შეჯიბრების შედეგები და აგრეთვე პრემიების დარიგება მოხდება არა უგვიანეს 23 თებერვლისა, პრემიები მიეცემა იმ ნაწილებს, რომლის კულტურული დონე ყველაზე მაღალი აღმოჩნდება.

ა.-კ. სასოფლო მეურნეობა 5 წ. შემდეგ

(ა.-კ. სასოფლო მეურნეობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის განხილვა)

ა.-კ. საგეგმო კომისიასთან შემდგარია თათბირი ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის შედგენილი 5 წლიანი პერსპექტიული გეგმების განსახილველათ. ჯერ-ჯერობით თათბირმა განიხილა ა.-კ. სასოფლო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმა. ეს გეგმა წინასწარ განიხილა და დაამუშავა ა.-კ. საგეგმო კომისიის სასოფლო მეურნეობის სექციამ.

ა.-კ. სასოფლო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ გაუმჯობესებათა შეტანას მარცვლეულობის კულტურაში, ითვალისწინებს აგრეთვე სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გადიდებას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაფართოებას და სხვა.

5 წლიანი გეგმა შესრულებულ უნდა იქნეს მიმდინარე საანგარიშო წლიდან 1932 წლამდე. 1932 წლისათვის მარცვლეულობის საერთო პროდუქცია ამიერ-კავკასიაში აყვანილ უნდა იქნეს 2,290.000 ტონამდე. ფულადი შეფასებით 5 წლის ბოლოს მარცვლეულის წლიური პროდუქციის ღირებულება უნდა შეადგენდეს 874.000.000 მანეთს, ნაცვლად ეხლანდელი 540.000.000 მანეთისა.

საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების ქსელის გასაფართოებლად 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების მიღება: საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების განკარგულებაში მყოფი მიწების სივრცე აყვანილ უნდა იქნეს 14,400 ჰექტარამდე, ახალი კოლექტიური მეურნეობები უნდა დაარსდეს ცალკე კულტურების რაიონებში (მაგ. მებამბეობის რაიონებში, ჩაის რაიონებში და სხვ.).

განსაკუთრებული ღონისძიებები იქნება მიღებული უღარიბესი მეურნეობების გასაერთიანებლად და მათგან კოლექტიურ მეურნეობების დასაარსებლად. გეგმით გათვალისწინებულია ცალკე თანხების გადადება კოლექტიურ მეურნეობათა მოსაწყობად.

ა.-კავკასიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის 5 წლის განმავლობაში სულ შემოზიდული იქნება 29 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. მათ შორის—216.000 ცალი გუთანი, 2,210 ტრაქტორი, მოეწყობა 60 სარემონტო სახელოსნო და სხვ. შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები პირველ რიგში მიეცემა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს.

იმ მიზნით, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გატარებას არ გადაეღობოს რაიმე ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებები, გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომზადებას იმგვარად, რომ მათ შეიძლონ გაუმჯობესებულ სას.-სამეურნეო მანქანების მოხმარება. ამ მიზნით გათვალისწინებულია აგრონომიული დახმარების გაფართოება. სულ 5 წლის ბოლოსათვის უნდა მოეწყოს 298 ახალი აგროპუნქტი, 3.823 აგრონომით.

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის განხილვა ა.-კ. საგეგმო კომისია დაამთავრებს ერთ კვირაში.

ტრაქტორების შემოტანა

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა 1928—29 წელში ამიერ-კავკასიაში სას. სამ. იარაღ-მანქანების შემოზიდვის გეგმა. ამ გეგმის თანახმად, მთელ ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 139 ტრაქტორი (81 ტრაქტორი შეძენილი იქნება საზღვარ-გარეთ ხოლო 58 საბჭოთა კავშირში იქნება დამზადებული).

ტრაქტორების მთელი რაოდენობა რესპუბლიკათა შორის დანაწილებული იქნება შემდეგნაირად: საქართველოს მიეცემა 31 აზერბეიჯანს—89 და სომხეთს—19 ტრაქტორი.

98 ტრაქტორი მიეცემა მებამბეობის რაიონებს ხოლო დანარჩენი რაოდენობა განაწილებული იქნება კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობებს შორის.

ქრონიკა

შრომის მოწესრიგების საკითხებზე მომუშავეთა კურსები

დღეს სმუს შრომის ეკონომიკის განყოფილების ინიციატივით იხსნება მრეწველობაში შრომის მოწესრიგების საკითხებზე მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები. კურსებზე მიღებულია 50 კაცზე მეტი.

კედლის გაზეთების კონკურსი

გემო-კვების მუშაკთა კავშირმა ჩაატარა კავშირის კედლის გაზეთების კონკურსი. საკონკურსო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 40 კედლის გაზეთი. მათ შორის საუკეთესოდ ცნობილი იქნა თბილისის ქალაქის სასაკლაოების მუშების გაზეთი „სასაკლაოს მუშა“.

აგრონომთა საქალაქო კონფერენცია

კვირას, 16 დეკემბერს, დილის 11 საათზე სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში შესდგება აგრონომთა საქალაქო კონფერენცია.

მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **ხაჭაპურიძე**— „სრ. საკავშირო სპეციალისტთა ცენტრ. ბიუროს პირველი პლენუმის მუშაობის შესახებ“ (აგრონომთა კადრების მომზადება, ხორბლეულობის მსხვილ საბჭოთა მამულების აღშენებლობა და სხ.).

თბილისის აღმასკომში

◆ **განათლების სექციის სხდომა**, რომელიც დანიშნული იყო 15 დეკემბრისათვის გადაიდო სხვა დროისათვის.

◆ **ტრამვაის ბაქნები.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ტრამვაის გასაჩერებელ მთავარ პუნქტებზე მოაწყოს დახურული ბაქნები.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **თბ. სახელმწიფო უნივ. სამკურნალო ფაკულტეტის ახალი დეკანატი.** 13 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მოხდა ამავე ფაკულტეტის დეკანატის არჩევნები. დეკანატი არჩეული იქნა შემდეგი შემადგენლობით: პროფ. ა. **ნათიშვილი** (დეკანი), ექ. პ. ბუაჩიძე (მდივანი). წევრებათ: ჯანმრთელობის სახ. კომისარი გრ. კუჭაიძე, პროფ. **ფლენტი**, პრივატ დოცენტი—მ. **მგალობლიშვილი**, ექიმი გ. ვაწაძე და გიორგაძე (სტუდენტთა წარმომადგენელი).

◆ **სახ. უნ. კლუბში** დღის ღამის 12 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის საერთო კრება.

◆ **მედსანშრომის პროფსექციის კრება.** დღეს, საღამოს 6 ს. უნივ. მთ. შენობაში შესდგება მედსანშრომის პროფსექციის საერთო კრება

◆ **უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა.** კვირას, 16 დეკემბერს, დილის 10 საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მოწვეულია უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა ახალ გამგეობის ასარჩევად.

საზ-ბა „წერა-კითხვას“ ცენტრ. გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა

დღეს, შაბათს 15 დეკემბერს, საათის 6-ზე საქართველოს ცაკში ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში მოწვეულია საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვენ დაუგვიანებლივ აუცილებლად დაესწრონ აღნიშნულ სხდომას: 1) ფ. მახარაძე, ესწრონ აღნიშნულ სხდომას: ო. მახარაძე, ა. ხომერიკი, ს. მამულია, დ. ცეხელაშვილი, პ. ბოკერია, ჩხარტიშვილი (პოლიტგანი), გ. ჩიხლაძე (ლენინის რაისაბჭო), ლომაძე (სტ. რაისაბჭო), ისრაელიანი (26 კომუნარების რაისაბჭო), ბოჟიაშვილი (კომკავშირი), ხაჩიკიანი (კომკავშირი), შ. ნუცუბიძე, ვიქტორ სიხარულიძე, ვ. მესხი, დუმბაძე, სასიანი (ტფ. პოლიტგანი), კარიაგინი.

კულტგანათლება

ორშაბათს, დეკემბრის 17-ს დილის 10 საათზე ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილება მუშათა სასახლის მცირე დარბაზში იწვევს ყველა კლუბებისა და წითელი კუთხეების სახელოვნო წრეების ხელმძღვანელთა თათბირს. თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) საბჭოების გადარჩევის კამპანიებისათვის მხატვრული სამსახურის გაწევა, 2) საქალაქო საკავშირთაშორისო კონფერენციის მოწვევა სამხატვრო მუშაობის შესახებ; სავალდებულოა დასწრება დრამწრეების, ცოცხალი გაზეთის წრეების, სამუსიკო (სამხედრო და სიმებიანი ორკესტრების) წრეების, სასიმღერო გუნდების ხელმძღვანელების და აგრეთვე ყველა მხატვრებისა და პლაკატისტების.

სხვადასხვა

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 15 დეკემბერს საღამოს 7 საათზე განათ. მუშაკთა სახლში შესდგება გან. მუშ. სახლის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც განხილული იქნება სახლის მუშაობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება. შემდეგ მოხდება ახალი გამგეობის არჩევა. დასასრულ კონცერტი ჭუმსიაშვილის დანელიანისა, მესხიშვილის, აფხაიძის, გოგლიჩიძის და სხ. მონაწილეობით.

◆ **ინჟ. გ. ნიკოლაძის მოხსენება.** საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრებაზე, რომელიც შესდგება კვირას, 16 დეკ. დილის 12 ს. თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში, ინჟ. გ. ნიკოლაძე წაიკითხავს მოხსენებას: „სინთეტიური აზოტის მრეწველობა საფრანგეთში“

◆ **კომუნალურმა ბანკმა გორის საავადმყოფოს საჭიროებისათვის** გადასდო 5000 მანეთი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბაქოდან—ნაცვალიძეს ბურჯანიდან—მაისურაძეს, თელავიდან—სალირაშვილს. აშხაბადიდან—კიკიაძეს, ახალციხიდან—შახნაზარიანს.

ხელოვნების ქრონიკა

— **ლიტერატურული საღამო.** შაბათს, 15 დეკემბერს ხელოვნების სასახლეში განათლების კომისარიატის კომკავშირის უჯრედის თაოსნობით გაიმართება პროლეტარულ მწერლების საღამო. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ბენიტო ბუაჩიძე. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: კ. კალაძე, ალ. მაშაშვილი, იოსებ ვაკელი, სანდრო ეული, ტრ. ნაროუშვილი, პეტრე ქოთათელაძე, შალვა ნავთლუღელი, გ. შინატიხელი, ი. ხოშტარია, ჯ. ბობოხიძე, გ. ხეჩუაშვილი, და კონსტ. ლორთქიფანიძე. დასაწყისი სად. 7 საათზე.

◆ **ოპერის თეატრში** დღის მე-6 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი“.

◆ **„ხოჭოების დოლი“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ხოზიკას „ხოჭოების დოლი“.

◆ **„რელსები გუგუნებენ“.** დღეს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რელსები გუგუნებენ“.

◆ **მე-4 შრომის სკოლასთან** არსებული მშობელთა დამხმარე წრე ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბში (ორთაჭალაში) ამავე სკოლის სასარგებლოდ დღეს გამართავს დიდ საღამო-წარმოდგენას.

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: **ლ. ქართველიშვილი**—საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები, ხალხური შემოქმედება (სასკოლო ბიბლიოთეკა) შრ. სკ. მე-8 ჯგუფ. 6. პირველი და მე-2. ს. იაშვილი—დაწყებითი გეოგრაფია. შრ. სკოლის მე-5 ჯგ. სახელმძღვანელო. „პროლეტარული მწერლობა“ № 10—11.

ღონისძიებები მოძრაობის მოსაწესრიგებლად

გუშინ აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის ამხ. ა. საჯაიას კაბინეტში შესდგა სპეციალისტთა კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული ჰქონდა პრაქტიკული ღონისძიებების გამომუშავება ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები: ავტომობილის მართვა არ შეუძლია შოფერის თანაშემწეს და სხვა პირებს. [illegible] შოფერებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური მოწმობა. ის პირი, რომელსაც არ აღმოაჩნდება მოწმობა და აგრეთვე ისინიც, რომელთაც აკრძალული აქვთ ავტო-მანქანის მართვა, მაგრამ მაინც იკისრებენ შოფერის მოვალეობას, დაპატიმრებული იქნებიან. შრომის სკოლის მასწავლებლებს ევალება სკოლებში ჩაატარონ სათანადო კამპანია მოძრაობის დაცვის წესების შესახებ. შოფერებმა ტრამვაის გასაჩერებელ ადგილებთან ავტომობილი ნელა უნდა წაიყვანონ. პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და სამსახურიდან მოხსნილნი ადმინისტრაციის ის მუშაკნი, რომელთაც ევალებათ მოძრაობის შესახებ გამოცემულ დადგენილებების ცხოვრებაში პრაქტიკულათ გატარება და სისწორით არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

კომისიის მიერ გამომუშავებული ღონისძიებები დასამტკიცებლად წარედგინება ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომელიც მას გამოსცემს სავალდებულო დადგენილების სახით.

გადაწყდა ქუჩაში ნორმალურ მოძრაობის დასაცავათ გამოყენებული იქნას მ. ზუბალოვის ახლად გამოგონებული აპარატი. რომელიც იდგმება ყველა სისტემის სამგზავრო ავტომობილზე.

კომისიის დადგენილებით ორ თვეში ერთხელ მოწვეული იქნება დაინტერესებულ დაწესებულებების თათბირი სადაც საინფორმაციო მოხსენებით გამოვა აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი. გარდა ამისა, თათბირი დაწვრილებით განიხილავს თვითეულ უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს.

კომისიამ დაადგინა—ითხოვოს აღმასკომის პრეზიდიუმს გამოსცეს ცალკე სავალდებულო დადგენილება მოძრაობის წესების დაცვის შესახებ.

ვინაიდან შოფერების უმეტესი ნაწილი—მოძრაობის სავალდებულო წესებს არღვევს ქალაქ გარეთ, ამიტომ ადმინისტრატიულ განყოფილებამ გადასწყვიტა— საქართველოს სამხედრო გზაზე დაარსოს ორი სამილიციო საგუშაგო.

სასამართლო

ვაჭრობა პროფკავშირის წიგნაკებით

მოქ. **აპოლონ ნადარეიშვილი** სოფლიდან ახალ ჩამოსული იყო სამსახურის საძებნელად, როცა შემთხვევით გაიცნო მოქ. გიორგი **ქაჯაია**, რომელიც იმ დროს ორთაჭალის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა.

ნადარეიშვილმა **სამსახური** ვერ იშოვა, რადგან იგი კავშირის წევრი არ იყო, როგორც კი გაიგო ნადარეიშვილმა რომ მისი ნაცნობი გიორგი ქაჯაია ადგილკომში მუშაობდა საპასუხისმგებლო ადგილზე, გადასწყვიტა დამეგობრებოდა მას და გამოეყენებია ეს მეგობრობა კავშირის წევრად ჩარიცხვისათვის.

აპოლონ ნადარეიშვილმა ეს კიდეც შესძლო. მეგობრად გაიხადა გიორგი ქაჯაია, რომელსაც მალე ჩაერიცხვია თავი პროფკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი მოწმობა არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ მას სადმე ემსახურია. ნადარეიშვილმა ისარგებლა მეგობრის „კეთილი“ ხასიათით.

ეს კიდევ არაფერი. ამის შემდეგ აპოლონ ნადარეიშვილი თავს ანებებს სამსახურის ძებნას და დაეძებს მხოლოდ ისეთ პირებს, რომელთაც კავშირის წევრად გახდომა სურთ.

მანამდი კი თავის ამხანაგს ვლადიმერ ქაჯაიას უთანხმდება და მეგობარს ადგილკომის კანცელარიიდან ჰპარავს შეუვსებელ საკავშირო წიგნაკებს და ბეჭედ დასმულ ბლანკებს.

აპოლონ ნადარეიშვილმა ჯერ თავისი გვარის კაცი **კონსტანტინე ნადარეიშვილი** გახადა კავშირის წევრად. რასაკვირველია სათანადო გასამრჯელო გვარის კაცსაც გამოართვა.

შემდეგ აპოლონ ნადარეიშვილი უფრო ანვითარებს ვაჭრობას კავშირის წიგნაკებით, კავშირის წიგნაკს თუ აქამდე 15 მანეთად ჰყიდდა, ეხლა უკვე აუწია ფასს და 30 მანეთი გახადა.

წააწყდა ერთ ვაჭარს **ვაგან მიხრაბეკიანს**, რომელსაც ძალიან სურდა კავშირის წევრობა. გამოართვა 30 მანეთი და მეორე დღესვე ვაჭარი მიხრაბეკიანი მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წევრი გახადა.

ნადარეიშვილმა ყალბი წიგნაკი მიჰყიდა აგრეთვე უმუშევარ **იაკო კუპრავას**, რომელსაც არავითარი შრომის სტაჟი არ ჰქონდა.

ასე „მუშაობდა“ უმუშევარი აპოლონ ნადარეიშვილი რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ არ გამოაშკარავდა მისი კომბინაციები.

დააპატიმრეს აპოლონ ნადარეიშვილი და მასთან ერთად პასუხისგებაში მისცეს: ადგილკომის თავმჯდომარე **გიორგი ქაჯაია, ვლადიმერ ქაჯაია** რომელმაც ნადარეიშვილს ხელი შეუწყო წიგნაკების მოპარვაში, აგრეთვე **კონსტანტინე ნადარეიშვილი, იაკო კუპრავა, ვაგან მიხრაბეკიანი**, რომლებმაც იცოდნენ კავშირის წიგნაკების სიყალბე, მაგრამ მაინც იყენებდნენ მას.

საქმე გაარჩია თბილისის მაზრის სასამართლომ ამხ. **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით.

აპოლონ ნადარეიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, გიორგი ქაჯაიას (დაუდევრობისათვის)—3 თვით, ვლადიმერ ქაჯაიას—3 თვით, დანარჩენებს—ორ-ორი თვით.

მსჯავრდადებულთ გარდა აპოლონ ნადარეიშვილისა და ვლადიმერ ქაჯაიისა სასჯელი შეეცვალათ პირობით თითო წლის ვადით.

ქალის მოტაცება

ზუგდიდის მაზრის სოფელ ხორგას მცხოვრებს **ვასილ ბერაიას** უნდოდა ცოლად შეერთო ჭინია ლ—იანის ასული, რომელსაც, როგორც ობოლს და ღარიბს ზრდიდა ბიძა.

ბერაიაზე გათხოვების წინააღმდეგი იყო, როგორც ქალი, ისე მისი აღმზრდელი ბიძა.

ვასილ ბერაიამ გადასწყვიტა ქალის მოტაცება.

ა. წ. 28 აგვისტოს ჭინია თავის ამხანაგებთან ერთად მიემგზავრება ს. ხობში, სადაც იმ დღეს ბაზრობა იყო გამართული. უკან დაბრუნებისას მას თავს ესხმის ვასილ ბერაია, რომელსაც თან ახლავს რევოლვერებით და ბებუთებით შეიარაღებული 4 ამხანაგი.

თავდამსხმელები ქალს იტაცებენ ტყეში, სადაც ვასილ ბერაია მასთან ძალით იკავებს სქესობრივ კავშირს.

ქალი იძულებული ხდება თანხმობა განუცხადოს ბერაიას ცოლად წაყოლაზე, ოღონდ თავი დააღწიოს უღრან ტყეს და საშუალება მიეცეს ხელისუფლებას აცნობოს ის ამბავი.

სოფელში დაბრუნებისას ქალმა აცნობა ყველაფერი მილიციას, ხუთივე თავდამსხმელი შეიპყრეს.

საქმე [illegible] გაარჩია ზუგდიდის სამაზრო სასამართლომ ამხ. **როდონაიას** თავმჯდომარეობით.

ვასილ ბერაიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, ხოლო მის ამხანაგებს—თითო წლით.

ზერ.

შემთხვევები

დაჭრა

გუშინ დღისით გიტო გეურქის ძე ბიგზაღოვმა დანით მძიმედ დასჭრა გიორგი მიხეილის ძე ფანიევი. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

უბედური შემთხვევა

გუშინ სად. მლეთის (ფასანაურის სამილიციო უბანი) მახლობლად კლდიდან გადმოვარდნილი ქვა მოხვდა თავში კავკავიდან თბილისში მიმავალ მეურმე გად. ჩერჩენოვს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

მოძრაობის წესების დარღვევისათვის

აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებამ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ერთი თვით დააპატიმრა მოტოციკლეტის მმართველი იოსებ ჭიტუაშვილი.

ხანძარი

გუშინწინ ღამით ხაითლუის ქუჩაზე ცეცხლი გაჩნდა სახლს № 11. სასწრაფოდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 12 წუთის განმავლობაში.

ხალიჩების ქურდები

მილიციამ დააპატიმრა შამიხლან მაშადი-ოღლი და მამედ სულეიმან ოღლი, რომლებსაც ბრალდებათ ხალიჩების მოპარვა.

რეციდივისტი

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ქურდი-რეციდივისტი გასიმ ასან-ოღლ.

ქურდობა

გაქურდეს ლ. დესაძის ბინა (ლერმონტოვის ქუჩა № 21). წაიღეს სხვადასხვა ნივთები.— მოქ. მ. ხაჩატურიანს საფინანსო სინდიკატის პალატიაში ჯიბიდან ამოაცალეს 32 მანეთი.

ფიზკულტურა და სპორტი

წყალის სპორტის ცენტრალური სადგური

საქართველოს პროფსაბჭოს კომისიამ დაადგინა, მთელი საქართველოსთვის წყლის სპორტის ცენტრალურ სადგურად მიჩნეული იქნას ბათომის სადგური და ჩაითვალოს იგი რესპუბლიკური მნიშვნელობის სადგურად. სადგურის სათახადოთ მოსაწყობად, კომისიის აზრით, საჭიროა 3.000 მანეთი. ეს თანხა თანაბრად განაწილებულია საქართველოს პროფსაბჭოს, აჭარისტანის პროფსაბჭოს და საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს შორის.

საცურაო სადგური თბილისში

საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინა აგოს თბილისში საცურაო სადგური. მომავალ ზაფხულში სადგურში მოეწყობა ორი სექცია: ცურვის სექცია და ვატერპოლოს სექცია.

საქ. პროფსაბჭოს კომისიამ მიუთითა ადგილებს თუ როგორ უნდა სწარმოებდეს წყლის სადგურების მშენებლობა საქართველოში. პროფკავშირებს წინადადება მიეცათ ჩააბან ამ საქმეში სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, აღმასკომები, ფიზკულტურის საბჭოები, წყალზე დამხმარე საზოგადოებები, ნავთსადგურების სამართველოები და შრომის ორგანოები.

ს. პ. კ. ს. ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ფიზკულტურის ნავებობათა მშენებლობის დროს გამოიყენონ სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდები.

ხამო-კვების მუშაკები—მელითონეები

კვირას, 16 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე ჯაიმართება შეჯიბრება გემო-კვების მუშაკების და მელითონეების ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ეს შეჯიბრება საინტერესოა იმ მხრივ, რომ გემო-კვების მუშაკები ამ მატჩში გამოდიან გაძლიერებული შემადგენლობით (რამდენიმე მოთამაშე ამ გუნდიდან გადავიდა მელითონეებთან).

გუნდების შემადგენლობა ასეთია:

მელითონეები—დ. ცომაია, მატიენკო, ვორონოვი, გონელი, ალექსეევი, სიხარულიძე, ბილოენკო, ასლამაზოვი, თამშანოვი, მაჩაბელი და ქიბაძე.

გემო-კვების მუშაკები—პაპკოვი, ოტტო, ტაჩილინი, იმნაძე, დოლიოლეევი, ბარიკალოვი, ორეხოვი, სომოვი, დიაკოვი, მაღალაშვილი და აივაზოვი.

შეჯიბრება დაიწყება ნაშუადღევის 1 საათზე.

ა.-კ. გაზაფხულის პირველობის გათამაშება

ამიერ-კავკასიის გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშება სპორტთამაშობაში მოხდება 1929 წლის მაისში. გათამაშება ჩატარებული იქნება თბილისში ფიზკულტურის შემდეგ დარგებში: ტენისი, კალათბურთი და ფრენბურთი.

უცხოელ სპორტსმენების მოწვევა

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს განზრახული აქვს 1929 წელში ამიერ-კავკასიაში მოიწვიოს მთელი რიგი ამხანაგურ შეჯიბრებების ჩასატარებლად ჩეხო-სლოვაკიის და სპარსეთის სპორტსმენები. ამას გარდა განზრახულია ჩვენი ფიზკულტურელების გაგზავნა სპარსეთში.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 15 დეკემბერი

დღეს, 15 დეკემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი: მოხსენება—„კოლმეურნეობათა დათვალიერება"; მხატვრული პროგრამა გლეხობისათვის; საუბარი—„ბუნთრუშა და მისი საწინააღმდეგო აცრა"; ერთი კვირის პროგრამის გადაცემა; ერდენკოს კონცერტის ტრანსლიაცია რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზიდან; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

იურიდიული დახმარება

იოსებ წეროძეს

კითხვა:

მაქვს სხვისი ზრაი სახლი ნაძალადევში, ერთმა მდგმურმა დასცალა ბინა და დაუტოვა მის ამხანაგს, რომელიც მასთან ცხოვრობდა ორი წლის წინად. ოთახის ქირას იხდიდა პირველი დგმური თავის სახელზედ და ოთახიც მასზედ ითვლებოდა.

ბინაში დარჩენილი მოქალაქე თავის სურვილით ბინას არ სცლის. მე კი როგორც ბევრსულ-სავან შემდგარი ოჯახის პატრონს, ოთახი მესაჭიროება. გთხოვთ მიპასუხოთ, მაქვს თუ არა უფლება გამოვასახლო დროებითი მდგმური.

პასუხი:

უფლება გაქვთ გამოასახლოთ თქვენს ოთახში დარჩენილი პირი. ამისათვის უნდა მიმართოთ საბინაო სასამართლოს.

ალექსანდრე უანჩაველს

კითხვა:

ვარ წითელარმიის ინვალიდი. შორაპნის მაზრაში მაქვს 250 კვადრ. საჟენი ადგილი, რომელზედაც არის გაშენებული ვენახი. მინდა ამ ვენახის გაყიდვა. ან იჯარით გაცემა. გთხოვთ მიპასუხოთ მაქვს თუ არა უფლება ან ერთის ან მეორის. და თუ მაქვს ამის ნება ვისგან უნდა ავიღო.

პასუხი:

მიწის გაყიდვა აკრძალულია კანონით და გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით. იმ შემთხვევაში, თუ მაზრის სააღმასრულებლო განყოფილება იმ მიწას, რომელზედაც გაშენებულია ვენახი, მიანიჭებს ვენახის მფლობელს, თქვენ შეგიძლიათ ამ 3-რისავან მიიღოთ ვენახის ღირებულება. მიწის იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ მაზრის სააღმასრულებლო განყოფილების ნებართვით, რომელსაც უნდა წარუდგინოთ დასამტკიცებლად საიჯარო ხელშეკრულების პროექტი.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 15 დეკემბერს დანიშნული თათბირი გადადებულია და შესდგება ორშაბათს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგ ამხანაგები:

ადამიანი (თბილისის კომიტეტი); **კაჭახიძე, ზურაბოვი, გაჯიევი**, (ა.-კ. კომუნ სტ. უნივერსიტეტი), **მთვარელიძე** (ქართ. მუშფაკი), **ვაჩაძე** (მე-9 შრომის სკოლა), **დემეტრაძე, მუჯირიშვილი** (კომკავშირის ცეკა), **მდივნიშვილი** (განათლების მუშაკთა სახლი), **ვინტინი, ბუდილევი** და **ჩხარტიშვილი** (საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ჰოსანიშვილს ორი დღის განმავლობაში შეიდეს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილების საღრიცხვო ქვე-განყოფილებაში ოთახი № 22.

დღეს, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე აგრ. ფაკ. შენობაში შესდგება აგრ. ფაკ. მე-3 და მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის საერთო კრება. დასწრება აუცილებელია.

დღეს, 15 დეკემბერს, დღის 1 საათზე მოწვეულია სახ. უნ. სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის კ. პ. უჯრედის ბიუროს სხდომა. სავალდებულოა წევრ-კანდიდატთა დასწრება. სხდომა შესდგება ბიურო-კოლექტივში.

დღეს, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახ. უნ. სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის კომუჯრედის კრება.

სავალდებულოა წევრ-კანდიდატთა დაუგვიანებლივ დასწრება. სხდომა შესდგება უნივერსიტეტის კლუბში.

დამწუხრებული მამა ბრ... ძმა მიშა აუწყებენ ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნადია ანტონის-ასული ცანავა

დაკრძალვა კვირას, 16 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე გამოსვენება საქართველო საპოლოდან ქალ. სამკურნალო ში ნ. 1087

გულდათუთქული მშობლები: ანა და დავით ჯულელაძე, ბაბუა ივანე, ბიძა ქეთევან, ანა და ივ... ჩიხლაძე ბი, ლიდა და მელიტონ რამიშვილები, მ... და იაკობ ვარლამოვები, იედიძი და ... გვილავები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

ნ უ ნ უ ს

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 15 დეკემბერს ს. სვირში 5248

გულდათუთქული მეუღლე თომა პაპია ლორთქიფანიძე, დედა ქსარია და ოლია აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას 16 დეკემბერს ნაშუადღევის 1 ლ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადაბარებული იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ლოლია ჩიჩუას ასულ ჩიქვანაიას

ხ... 5 45

სამუდამოდ გულდაკლულები დედა სოია, ძმები: მიშა, ქოლა, რძალ ... ჩკა და ძ... შვილი მაყვალა აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს, რომ კვირას 16 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი ქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

გაბო ათანასის-ძე იაგორაშვილის

ხსოვნის ... 5224

... ამხანაგები აუწყებენ საბ. ... რომ ძმ... ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამკურნალო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ხმელიძე

დაკრძალვა ქუთაისში, კვირას 16 დეკემბერს, 3 საათზე გამოსვენება ბინიდან: მიხეილის ქ. № 20 5240

... სახ. უნივერსიტეტის ... ... კომი ამით აცხადებს, რომ ხან ... ავად ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა საქვეყნო ... ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ხმელიძე

დაკრძალვა ქუთაისში კვირას 16 დეკემბერს 5249

ვინც „კომუნისტს"

არ იღებს დროზე ...

მან უნდა აცნობოს

კანტორას — რუსთაველის პრ. № 34

ტელეფ. № 8—81.

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

ჟურნალი „დროშა"

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა იწყებს 1929 წლიდან ილუსტრირებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას

I-ლი №-რი გამოვა იანვრის შუა რიცხვებში

მიიღება ხელისმოწერა 3 თვით და ნახევარი წლით 3 თვით ჟ რნალი ღირს 85 კ. ნახევარი წლით 1 მ. 70 კ. ცალკე №-ი 15 კ.

გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა"-ზე ხელისმოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირეულად გამოვა

„კომუნისტზე" ხელისმოწერის პირობები

დამატების გარეშე გაზეთი ღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მას წავლებლებისათვის

1 თვით	1 მ. — კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 მ. — კ.	8 „	7 მ. 65 კ.
3 „	2 მ. 90 კ.	9 „	8 მ. 60 კ.
4 „	3 მ. 85 კ.	10 „	9 მ. 55 კ.
5 „	4 მ. 80 კ.	11 „	10 მ. 50 კ.
6 „	5 მ. 75 კ.	ერთი წლით	11 მ. 50 კ.

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80 კ.
2 „	2 მ. 60 კ.	8 „	10 მ. — კ.
3 „	3 მ. 80 კ.	9 „	11 მ. 30 კ.
4 „	5 მ. — კ.	10 „	12 მ. 60 კ.
5 „	6 მ. 25 კ.	11 „	13 მ. 0 კ.
6 „	7 მ. 55 კ.	ერთი წლით	15 მ. — კ.

ხელისმოწერა მიიღება

ქუთაისში — „კომუნისტი"-ს განყოფილება
ო... — კონტრაგენტ ...თან
ახალსენაკში — კონტრაგენტ ...თან
... — კონტრაგენტ ...თან
შიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ჭყვირილაში — კონტრაგენტ იხომელიძესთან
შ...რაპანში — კონტრაგენტ ...იძესთან
ბ...რჯომ... — კონტრაგენტ კობახიძესთან
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგენტ ლორიასთან
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ ...რალოვთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან
ბათომში — ფ. კანტორაში
ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ბერიშვილთან
ტრებალოში — კონტრაგენტ ცხვედიანთან

გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა თბილისი—რუსთაველის, პრ. № 34.

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 15 დეკემბ. მე-6 აბონემენტის მე-4 წარმ. **ფაუსტი** დირიჟორი ... ნ. ნ. ბოგოლუბოვის ახალი დადგმა

(ბილეთების ნაწილი სალაროებში გაიყიდება ჩვეულებრივი წესით)

16-ს დილით **ევგენი ონეგინი** ნ. ნ. ბოგოლუბოვის ახალი დადგმა. ფასები ... (25 კაპ. და 1 მან 50 კ.-მდე). საღამოთი — რესპუბლიკის დამსახ. არტისტის ქ. გ. დერჟინსკაიას გამოსათხოვარი გამოსვლა. დაწვრილებით ცალკე აფიშებში და განცხადებებში. დღის წარმოდგენის დასაწყისი 12 ნახ საათზე, საღამოსი 8 საათზე ბილეთები იყიდება 17 დეკემბერს აბონემენტების მეპატრონე გადა აბდელის უკანასკნელი ვადაა. სალაროსთან ხალხის შეჯგუფების თავიდან ასაცილებლად გადასახდელის მიღება დაწყებულია დღეის ... ცხვიდან.

2—1 ნ. 1983

რუსთაველის თეატრი

შაბათს 15 დეკემბერს ხ ო ზ ი ა ს ა ხ

„ხოჭოების დოლი" კომ. 3 მოქ.

დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი ირ. გამრეკელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ...

2—2 ნ. 1986

რუსთაველის თეატრი

კვირას, 16 დეკემბერს ბ. ლავრენევის

რ ღ ვ ე ვ ა დრამა 4 მოქ. თარგმ. ა. ფაღავასი

დადგმა: ალ ახმეტელის. მხატვარი: ირ. გამრეკელი.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და პროფსაბჭოს მუშ თა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთ ხი № 1. ვინც არ ადაიხდის აბონემენტის მე-4 გადასახადს ა/წ. 20 დეკემბრის დღის 2 საათზე, არ იქნება დაშვებული წარმოდგენაზე

2—1 ნ. 1985

სახკინმრეწველობის კინოები

...ახი იაძ	**თავზე ხელაღებული** 5 და 6 სერია
არფასტო	სეზონის სათქ კომედია **წარჩინებული მოგზაურები** პატის და პატაშონის მონაწილეობით
სოლეი	წარმატებით გრძელდება სურათ **კაპიტანის ქალიშვილი-ს** და გ-ა პუშკინის ნაწარმოების მიხედვით
აპოლო	
კ — ას	სეზონის საუკეთესო სურათი **სიცოცხლის უფლება** ...
მინიონი	დიდი წარმატებით მიდის **გედნიერების ნალი** ...
დარბაზი	**უკანასკნელი საათი** ალექსანდრა თოიძის მონაწილეობით
კოლ. ტარო	**თავზე ხელაღებული** და 2 სერია

... სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათ. 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 საათ. 20 წუთიდან 0—13

კინო-აპოლოში ნიკოლოზ მე-2-ე. რუსეთი და ლ. ტოლსტოი ესფირ შუბის ნამუშევარი **მალე**

მალე 2 გოე ვიკი

კინო-პალასში კასტუს კალინოვსკი რეჟისორი გარდინი (სურათ „მეფე და პოეტი"-ს დამდგმელი) **მალე**

ნ. 1988

შაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე განათლების მუშ. სახლში (კალოუბნის ქ № 8) შესდგება

გან. მუშ. სახლის წევრთა საერთო კრება

დღის წესრიგში:

1. გან მუშ. სახლის გამგეობის ანგარიში;
2. გ. მ. სახლის გამგეობის არჩევნები;

დასწრება გან მუშ. სახ. ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

აქვე საღამოს 5 საათზე მოწვეულია ყველა პედაგოგ-კომუნისტთა საერთო საქალაქო კრება.

გან. მუშ. სახლის გამგეობა.

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს

(ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—

სამხეცე

ცხოველთა სამყარო

ჟოკეი კლუბის (ოფ. არტო) ბაღში

ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე. მრავალი სხვადასხვა ცხეცი, ფრინველი, მაიმუნი და ქვეწარმავალი.

ანონსი! ახლო ხანში ჩამოვა ნ მ რინავი ქალების იშვიათი კოლექცია ტროპიკული ტყეებიდან

თვალყური ადევნეთ! თვალყური ადევნეთ! თვალყური ადევნეთ!

0-13 ნ. 1839

ცირკი კოლოსი ტელეფ. № 8—64

დღეს გალა სანახაობანი

ახალი გასტროლიორები. დიდი პროგრამა

მონაწილეობას იღებს 4 ეშმაკი და ყველა ახალი გასტროლიორები. დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

კვირას 16 დეკემბერს **დღის სანახაობანი** მთელი დასის, ყველა გასტროლიორის და 4 ეშმაკის მონაწილეობით

დასაწყისი დღის 2 საათზე

ამ დღეებში მხ ცებს 1 ლი რუსი მწვრთნელი **ნ. გლადილშჩიკოვი** ძუ და ხვადი ლომებით, დათვებით და დოგებით

თ ვ ა ლ ყ უ რ ი ა დ ე ვ ნ ე თ!

3—3 ნ. 1979



სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები

კალენდრები 1929 წლის

მაგიდის (ფიცრით) 3 მან.

კედლის 60 კაპ.

შეკვეთებით მიმართეთ სახელგამის მაღაზიებს ბითუმ დ მყიდველთ ფასდაკლება 20 პროც.

ნ. 1989 1—1

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებ.

კ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 24 დეკემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 56 ქოთ ის (გოხჩარნი) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ მელქონის ძე სი ანიაიცის ორ სართულიან აგურის სახლს, დახურულს კრ... ტით, 9 ოთახით, შეფასებულს 1,000 მანეთად მოსე ილიას ძე სრიბნერის ვალის დასაფარავად ფულებლად თანახმად ქ. თბილისის სანოტარო სახ. კანტორის სააღმასრულებლო წარწერისა 26 ივლისიდან 1928 წ. თარიღით, № 2175 ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და მოხდება თანახმად 311—314 მუხ. სამ სას. საპ. კოდ. 5258

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. დილის 9—12 ს-მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 3 25—15

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. ... მე აძარით: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5-90. 25—12

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენ რიული და კ ნის ს ეუღ

კამოს ქ. 72 (ყოფილი ციციანთ ...) მიღება დილ 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ, 4598 25—1

„კომუნისტი"-ს გამომცემლობას

ესაჭიროება გაზეთის საზიდავად ნახევრად საბარგო ავტომობილი ერთი ან ერთ ნახევარ ტონიანი

კომისიონერებს ვთხოვთ თავს ნუ შეიწუხებ ნ

იკითხეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ტელ. № 8—81. 0—1

საქართ. კომუნალური ბანკი

ამით აუწყებს თავის აქციონერთ, რომ ა წ დეკემბრის 30, დღის 12 საათ ზე დანიშ ულია ბანკის შენობაში—პუშკინის ქ № 3,

ბანკის აქციონერთა წლიური საზოგადო კრება

შემდეგი საკითხ ბის განსახილველად:

1. გამგეობის მოხსენება ბანკის მუშაობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება
4. წმინდა მოგების განაწილება
5. ხარჯთ ღრიცხვის დამტკიცება
6. არჩევნები: საბჭოს წევრთა
7. „ გამგეობის წევრთა
8. „ სარევიზიო კომისიის
9. „ შემფ სებელი კომისიის
10. მიმდინარე საკითხები.

ნ. 1984

ფიზიატრიის და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი მიხა ცხაკაიას სახელობის

(ლენინის ქ. № 49)

ყოველგვარი ფიზიკური მეთოდებით მკურნალობა: ელექტრონით, ცალახით, წყლით, სინათლით, მექანო-თერაპია, რენტგენით და რადიუმით წამლობა. რენტგენო-დიაგნოსტიკა და ინგოლიაცია.

მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური.

ავადმყოფთა მიღება: შინაგან სნეულებით (გულის ავადმყოფობანი, ნივთიერებათა გაცვლა გამოცვლის, კუჭ ნაწლავების და სხვა) ნერვიულ და ქალურ სნეულებით ყოველ დღე, კვირა უქმე დღეების გარდა, 10—1 საათამდე.

ავადმყოფთა ჩაწერა: დილის 9—11 საათამდე.

მიიღება აგრეთვე ფასიანი ავადმყოფები.

ყოველგვარი ცნობები მკურნალობის პირობების შესახებ მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით. (ტელეფონის 15—87). 2—1 5246

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—8

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 7-დან 8 საათამდე. ძმებლაძის ქ. № 35, (ყოფ. ინსტიტუტის ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენ რიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანისა დ ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუსილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. 12-67. ნ. 3—25

ლ ო გ ო პ ე დ ი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტის არსებულ ლოგოპედ ის ა 6 ტიის

ა ს წ ო რ ე ბ ს

ლოგოპატებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და იტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., № 132. 13—1 ნ. 1806

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან ავადმყოფო ა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებ თა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღ ბულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპირეხაია) № 7—ერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელ ს, ყურის და ცხვირ ს სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა.

ჭონქაძის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე მისამართი. ... ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ა. 9. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

თბილისის სადგურზე ჯიბგირებმა ამომაცალეს 300 მანეთი, უვ დო ვინაობის წიგნაკი მოც. მე 7 სამილიც. სამართვ. მიერ 6/5 1925 წ. № 505/565, საფინანსის განცხადება № 1340 და მე 7 უბნის ფინინსპექტორის მიერ მოცემული 1928/9 წ. საარჩევნო გადასახადის საგანმო წიგნაკი. გიორგი ავაქოვის სახელზე ჩ. გ. 5249

დავკარგე სალიკვიდაციო წიგნაკი № 4074 გაცემული თბ. სახ. უნივერსიტეტის მიერ გიორგი მელიტონის-ძე ბუხიანიძის სახელზე. ჩ. გ. 5255

დავკარგე უვადო პასპორტი № 170 გიორგი ფ...იძის სახელზე. ჩ გ. 5253

დავკარგე მეორე შრომის სკოლის მირზე ჯ...ის ძოწონება ო ... ცაგარეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 5256

დავკარგე. ხარი ლომა, წითელი კუდი, შავი თვალები და რქები ზე-ვით აყვანილი. მნახველი დაჯილდოვებული იქნება 25 მანეთით. ალექ ან რე ვაშაკიძე მცხოვრები გუბის თემში. 5257

დავკარგე. ცხენის საალო ხმე ბარათი ლეონტი ხარჩილავას სახელზე, ჩ. გ. 5257

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 179 ირაკლი კეკელიას სახელზე. ჩ. გ. 5257

დავკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 24823 ნიკო დავითის-ძე ქადაგიძის სახელზე. ჩ. გ. 5252

დავკარგე: მეურნეული ამონაწერი, შალვა გოგილიძის სახელზე. ჩ. გ. 5251

დავკარგე, კომუნალური მეურნეობის მუშა თა კავშირის წიგნაკი № 5371 გრიგოლ ლოლოპერიძის სახელზე, ჩ. გ. 5259

დავკარგე: განათლების მუშათა კავშირის წიგნაკი თინა თაყაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 5250

დავკარგე. კ. პ. (ბ) საკანდიდატო ბარათი № 400 ერისტო გერასიმეს-ძე ტყაბლაძის სახელზე, ჩ. გ. 5244

დავკარგე. სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი № 48 კონსტანტინე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 5247

დავკარგე პირადობის მოწმობა № 3900 ალექსი თომაშვილის სახელზე, ჩ. გ. 6277

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 63.

მთავლიტი № 904.